ᲙᲕᲐᲚᲘ

X. ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ. X Ვ.

№ 22 ᲙᲕᲘᲠᲐ, 19 ᲛᲐᲘᲡᲘ 1902 ᲬᲚᲘᲡᲐ. № 22

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში, ბარონის ქუჩაზე, № 27. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ“.

შ ი ნ ა ა რ ს ი: დარვინიზმი, X.-სა.—შინაური მიმოხილვა. —სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—რუსეთის ცხოვრება.—საზღვარ-გარეთ.—ლექსი, ი. ე—ლისა.—შაქრის ადსარება. —გურიის სავაჭრო-სამ. „შუამავ.“, წევრთაგანი-სა.—სოფლის მასწავ. კრება, იდია ბახტაძისა.—ქუთ. სამ. საზ. „კოლხიდ.“, Porole-სი.—საეურადღებო პროექტი.—უბედურება ანტ. კუნძულზე —მომხმ. საზ. ეკონომიაში.

„ᲙᲕᲐᲚᲘᲡ“ რედაქცია გადავიდა ბარონის ქუჩაზე, სახლი № 27, ბ-ნ მარტირუსოვის შენობაში.

ᲓᲐᲠᲕᲘᲜᲘᲖᲛᲘ.

1. ბრძოლა არსებობისათვის.

ყოველი ორგანიზმის ძირითად თვისებას შეადგენს სიცოცხლის მოსწრაფება. ორგანიზმი ცდილობს დაიცვას თავისი თავი, თითონ იცხოვროს და აგრეთვე დატოვოს შთამომავლობა, რომელიც გააგრძობს მის სიცოცხლეს. მაშ თავისი თავის დაცვა და შთამომავლობის უზრუნველ ყოფა—აი ის ღერძი, რომლის გარშემო ტრიალებს ყოველი ორგანიზმის მოქმედება, ცხოველი იქნება ის თუ მცენარე. ამ ძირითად თვისებას ორგანიული ბუნებისა მოსდევს ყველა ის მოვლენები, რომელსაც ჩვენ ვამჩნევთ ცხოველთა და მცენარეთა შორის. დაუკვირვებელ ადამიანს ბუნება წარმოუდგება, როგორც მშვენიერების სამეფოთ, ის ხედავს მის სიკეკლუცეს, მის თვალებს იტაცებენ ფერად-ფერადი ყვავილები, მის სმენას ატკბობენ მოჩიკჩიკე ფრინველები. ბუნება თავისი სიკეკლუცით ოპტიმიზმის მომგვრელია, ის ლაღობს და თქვენც ისვენებთ, როცა მის სიმშვიდეს და სიმხიარულეს უცქერთ. მარა მართლა ასეა, მართლა მშვიდია ბუნება? იაფათ უჯდება მის შვილებს ეს კეკლუცობა და სილამაზე? ყოველი ორგანიზმი ცხოვრობს ამა თუ იმ პირობებში, ესაა მისი საარსებო პირობები. საარსებო პირობებში უნდა გავარჩიოთ ორნაირი პირობები. პირველ გვართ უნდა ვაკუთვნოთ ის პირობები, რომელთაც წარმოგვიდგენს არაორგანიული ბუნება. ამ პირობებში ყველაზე უწინ უნდა დავასახელოთ ჰავა. ჰავას ჩვენ ვეძახით სითბო-სიცივის, ტემპერატურის, და აგრეთვე სინოტიეს ცვლას. მეორე ადგილი უნდა დაეუთმოთ არეს. არეს ჩვენ ვეძახით ჰავის გარდა ყველა ის თავისებურებას, რომელთაც წარმოადგენს ეს თუ ის ადგილი. მაგალითათ, თევზისთვის არე არის წყალი. მტკნარი წყლის თევზებისათვის მტკნარი წყალი, ზღვის თევზისათვის ზღვის წყალი. მესამე საარსებო პირობა არის საჭმელი. საჭმელს ჩვენ ვუწოდებებთ ყველა ის ნივთიერებათ, რომელნიც საჭიროა ორგანიზმისათვის. მცენარისათვის საჭიროა არაორგანიული ნივთიერებანი, როგორც, მაგ., ნახშირის სიმჟავე, წყალი, აზოტიური და სხვა შეერთებანი ნიადაგისა. ცხოველის საკვებ მასალას შეადგენენ სხვა-და-სხვა არაორგანიული და ორგანიული ნივთიერებანი. ამ ნაირათ საჭმელს უჭერია საშუალო ადგილი: ის ერთი მხრით ეკუთვნის არაორგანიულ პირობებს, მეორე მხრით ორგანიულს. ახლა დავასახელოთ ორგანიული პირობები, რომელნიც დამოკიდებულია დანარჩენ ორგანიულ არსებათა მდგომარეობაზე. აქ უნდა მივიღოთ სახეში იმ ორგანიულ არსებათა რაოდენობა და სხვა-და-სხვა გვარობა, რომელნიც ვარს არტყიან ამა თუ იმ ორგანიულ არსებას. ეს პირობები ორგვარია. ზოგი ორგანიული არსება, ამა თუ იმ ცხოველისათვის არის მოწინააღმდეგე, ზოგი კი მისი არსებობის ხელშემწყობი. მოწინააღმოეგეც ორგვარია. თუ ორი ცხოველი ერთი და იმავე მასალით იკვებება, ისინი იქნებიან ერთმანეთის მეტოქე, არა პირდაპირი მოწინააღმდეგე. თუ კი ერთი ცხოველი მეორე ცხოველით იკვებება, იმ შემთხვევაში პირველი მეორესთვის იქნება პირდაპირი მოწინააღმდეგე, მისი მტერი. ხელშემწყობიც ორგვარია—პირდაპირი და არა პირდაპირი. ბალახის მჭამელი ცხოველისათვის საკვებათ გამოსადეგი მცენარე მტაცებლისათვის იქნება არა პირდაპირი დამხმარე, რადგან ხსენებული მცენარის გამრავლება ხელს უწყობს ბალახის მჭამელ ცხოველის გამრავლებასაც, ესე იგი მტაცებელის საკვების ზრდას. პირდაპირი ხელშემწყობის ასახსნელათ ავიღოთ რაიმე პარაზიტი. მაგალითათ, როგორც მოგეხსენებათ მსხალზე იზრდება ფითრი, რომელიც იკვებება მისი წვენით. მაშ მსხალი ფითრისთვის არის პირდაპირი დამხმარე. ის მას ასაზრდოებს. რამდენათ მეტი მსხლის ხე იქნება, იმდენათაც ფითრს მეტი საცხოვრებელი ასპარეზი ექნება. ამნაირათ ჩვენ ვხედავთ, რომ საარსებო პირობები მეტათ რთულია. აქ ათასნაირათ გადახლართულია ურიცხვ არსებათა ინტერესები. მეტათ დიდი დაკვირვებაა საჭირო, რომ დაახლოვებით მაინც გაითვალისწინოთ ის უთვალავი მოვლენები, რომელთაც ბადებენ საარსე-

ბო პირობები. რომ ცოტაოდნათ მაინც გავითვალისწინოთ ისინი, მოვიყვანოთ ერთი მაგალითი, —ვისარგებლოთ მეცნიერთა გამოანგარიშებით. ავიღოთ რომელიმე მცენარე. ვთქვათ, რომ ის წლიურათ იძლევა ას თესლს. ეს რიცხვი დიდი არ იქნება, რადგან მცენარეთა უმრავლესობა ყოველ წლიურათ იძლევა ათასობით და ათიათასობით თესლს. მარა დავკმაყოფილდეთ ამ მცირედი რიცხვითაც. მაშინ ჩვენ მივიღებთ შემდეგ ციფრებს:

პირველ წელიწადს	1
მეორეს . . .	100
მესამეს . . .	10,000
მეოთხეს . . .	1000,000
მეხუთეს . . .	100,000,000
მეექვსეს . . .	10,000,000,000
მეშვიდეს . . .	1,000,000,000,000
მერვეს . . .	100,000,000,000,000
მეცხრეს . . .	10,000,000,000,000,000
მეათეს . . .	1,000,000,000,000,000,000

აი, რა შთამომავლობა ეყოლება ჩვენ მცენარეს მეათე წლის ბოლოს. ჩვენ ამ რიცხვის გამოთქმაც გვეძნელება, მარა ჩამწკრივებული ნულებიც საკმარისათ გვეუბნებიან მის მნიშვნელობაზე. ხოლო რომ უფრო ნათლათ წარმოვიდგინოთ ამ ციფრების მნიშვნელობა, გამოვიანგარიშოთ, თუ რა ადგილი დაჭირდებოდა ამდენ მცენარეს საარსებოთ. წმრმოვიდგინოთ, რომ თითოეულ მცენარეს ჭირდება საარსებოთ ერთი ოთხ-კუთხი გოჯი მიწა. რასაკვირველია, ეს მეტათ მცირე ადგილი იქნება. ამ შემთხვევაში ჩვენ მცენარეთაოვის საჭირო სივრცე გამოიხატება ასე: პირველ წელიწადს 1 ოთხ-კუთხი გოჯი, მეორეს—100, მესამეს—10,000 და სხვ.

ხმელეთს მთელ დედამიწაზე დაახლოებით უჭირავს 69,824,524,800,000,000 ოთხ-კუთხი გოჯი. ახლა გავყოთ ის სივრცე, რომელიც საჭიროა ჩვენი მცენარეებისათვის მეათე წელიწადს, დედამიწის მთელი ხმელეთის გამომხატველ რიცხვზე, დაახლოებით მივიღებთ ხუთმეტს. აქიდან ჩვენ ვხედავთ, რომ თუ მცენარემ წელიწადში ას-ასი თესლი მოიტანა და თუ მის გამრავლებას ამ საზღვრებში არავითარი დაბრკოლება არ შეემთხვა, მაშინ მეათე წელიწადს ჩვენ მცენარეს დაჭირდებოდა ხუთმეტჯერ მეტი ადგილი, ვიდრე დღეს ხმელეთს უჭირავს. აი ჩვენი მცირედი თეორიული გამოანგარიშების შედეგი. მარა რა საჭიროა თეორიული გამოანგარიშება, როდესაც თვით ცხოვრება გაცილებით უფრო ნათელ და საგულისხმიერო ფაქტებს იძლევა. დავუგდოთ ყური თვით დარვინს. „არ შეიძლება დავასახელოთ ერთი წინააღმდეგი შემთხვევა იმისა, რომ ყოველი ორგანიული არსება ისეთი სისწრაფით მრავლდება, რომ თუ ის არ იხოცება, ერთი წყვილის შთამომაელობა დაფარავს მთელ დედამიწას. ადამიანიც კი, რომელიც ნელა მრავლდება, ოცდახუთი წლის განმავლობაში რიცხვით ორდება და, ასეთი გამრავლების ძალით საკმარისია სულ ათასიოდე წელიწადი, რომ მის ჩთამომავლობას ფეხის დასადგმელი ადგილიც არ ქონდეს. ლინეიმ გამოიანგარიშა, რომ თუ რომელიმე ერთწლოვანი მცენარე მოგვცემს ორ-ორ თესლს (არც კია მცენარე ასეთ ცოტა თესლს რომ იძლევოდეს), მაშინ ოცდახუთი წლის შემდეგ მისი ჩთამომავლობა მილიონამდე ავიდოდა. სპილო სულ ყველა ცნობილ ცხოველებზე ნელა მრავლდება, მე კი გამოვიანგარიშე, თუ რა მრავალ რიცხოვანი იქნებოდა მისი ჩთამომავლობა. სპილო იწყებს მრავლებას ოცდაათი წლიდან და ოთხმოცდაათ წლამდე იძლევა არა უმეტეს ექვსი შვილისა. ცხოვრობს კი ას წლამდე. თუ ამ ციფრებს მივიღებთ, ამ შემთხვევაში გამოდის, რომ 740 750 წლის განმავლობაში ერთი წყვილისაგან მივიღებთ ცხრამეტ მილიონ სპილოს“. ყაყაჩოს თავში არის 2,900-3000 თესლი, ხოლო საშვალო ყაყაჩოზე თავი ათამდეა, მაშ ერთი ძირი ყაყაჩო ყოველ წლობით იძლევა 30,000 თესლს. ერთი წყვილი ზუთხის ჩთამომავლობა უკვე მეოთხე თაობაში იმდენი იქნებოდა, რომ მისი წონა ეთანაბრებოდა თითქმის მთელი დედამიწის წონას. ამ ნაირათ ჩვენ ვხედავთ, რომ ორგანიზმის გამრავლებას აქვს ძლიერი ტენდენცია. აქ მხოლოთ ისაა, რომ ერთი უფრო ნელა მრავლდება, ვიდრე მეორე. სხვა განსხვავება არაა. „ერთათ ერთი განსხვავებაა, —ამბობს დარვინი, იმ ორგანიზმთა შორის, რომელნიც იძლევიან ყოველ წლობით ათასობით კვერცხებს ან თესლს, და იმ ორგანიზმებთა, რომელნიც მეტათ მცირე რიცხვს იძლევიან მხოლოთ იმით გამოიხატება, რომ ამ უკანასკნელთ დასჭირდებათ რამდენიმე წლით მეტი, რომ ხელშემწყობ პირობებში დაასახლონ ყოველი მხარე, რა სივრცისაც არ უნდა იყოს ის“. ამ ნაირათ ჩვენ ვხედავთ, რომ ორგანიზმები გაცილებით უფრო ძლიერათ მრავლდებიან, ვიდრე ამის ნებას აძლევდენ საარსებო პირობები. აი, აქ არის მიზეზი იმ განუწყვეტელ ბრძოლისა, რომელიც მუდმივ გაჩაღებულია დედამიწის ყოველ კუთხეში. ცხოველები მუდმივ იბრძვიან საჭმლისათვის, ხოლო მცენარეები—ნიადაგისა, წყლისა და მზის სხივებისათვის. ერთი ჩაგრავს მეორეს, ერთი სპობს მეორეს და ამ ნაირათ ირჩენს სიცოცხლეს. აი ამ მუდმივ ქიშპობას, მუდმივ ჭიდილს დარვინმა დაარქვა სახელათ „ბრძოლა არსებობისათვის“. ეს ბრძოლა გაცხარებულია, როგორც ცხოველთა, ისე მცენარეთა შორის. თუ მცირედ ყანაში დათესილია ბევრი ხორბალი, იმ შემთხვევაში ყველას ბედი არ გაუღიმებს, ყოველ მარცვალს არ ეღირსება მზის სხივების დანახვა. ერთი გაღივებისთანავე ჩაჭნება, მეორე თავს წამოყობს, მარა ჩაღრეა დაჩრდილული, მესამე ადგილსაც ვერ იპოვის ფესვებისათვის. ამ ნაირათ საარსებო პირობები საზღვრავენ ორგანიზმების გამრავლებას. სხვა და სხვა გზით უთვალავი ცოცხალი არსება, თუ მისი ჩანასახი ისპობა; მაგალითათ, მცენარეთა უთვალავ თესლს სპობენ ცხოველები, რომელნიც ამ თესლით იკვებებიან; ბევრი თესლი ისპობა, რადგან ითესება ისეთ ადგილს, სადაც გაღივება შეუძლებელია. თუ მცენარეები მჭიდროთ არიან დათესილი, აქაც ბევრი იღუპება, და რომელნიც რჩება, იმათაც სხვა-და-სხვა ცხოველები საკმაოთ სპობენ. ბეკრს სპობს ყინვა, სიცხე, გვალვა, სინოტიე, ბევრსაც ღრღნის პარაზიტები. ცხოველების უთვალავ კვერცხებს და ახალგაზდა შვილებს ყლაპავენ მტაცებელი მტრები, რომელნიც არ ასვენებენ მათ დიდობის დროსაც. ჰავასაც არა ნაკლები გავლენა აქვს მათზე, ვიდრე მცენარეებზე. ბევრი გამოესალმება წუთისოფელს შიმშილისაგან, ავათყოფობისაგან, პარაზიტებისაგან და სხვა. აქ ჩვენ დავასახელეთ რამდენიმე მაგალითი- ხოლო ყოველი ორგანიზმის არსებობა იმდენათ მრავალგვარ პირობებშია, იმდენი ურიცხვი განსაცდელი მოელის მას, რომ აღნუსხვა ყოველთ შეუძლებელია. ამნაირათ ჩვენ ვხედავთ, რომ ურიცხვი არსება იღუპება და ცხოვრების მეჯლისით დატკბობა მხოლოთ რჩეულთა ხვედრია. ვინ არიან ეს რჩეულნი და რა პირობების ძალით არგუნა მათ ბუნებამ ცხოვრებით დატკბობა, საიდან მომდინარეობს მათი გამარჯვება? ეს შემდეგ გავითვალისწინოთ.

X.

შინაური მიმოხილვა

10 მაისს მოხდა თფილისის გუბერნიის შეუძლებელ თავად-აზნაურთა შვილების დამხმარებელ საზოგადოების წლიური კრება. ეს კრება ბევრ მხრივ იყო საგულისხმიერო, მარა ჩვენ აღვნუსხოთ მხოლოთ მისი უმთავრესი მომენტები. ყვე-

ლაზე უწინ არ შეეკვიძლია დიდი სიხარულით არ მოვიხსენოთ ის გარემოება, რომ კრების თავმჯდომარე და ხელმძღვანელი იყო მანდილოსანი. საზოგადოთ დღემდისაც ჩვენში ქალების მოქმედება საზოგადო ასპარეზზე მეტათ უჩინარია. იშვიათათ შეხვდებით დამოუკიდებელ, განსაზღვრულ რწმენის მქონე ქალს. უმეტესათ თუ რამე კეთდება, თითქო მოდაა, თითქო წაბაძვაა. მით უფრო სასიხარულოა ჩვენთვის, როცა მანდილოსანს ვხედავთ პასუხის საგებ და საპატიო როლში.

მეორე გარემოება, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიქცია, ეს არის სარევიზიო კომისიის არ ყოფა. როგორც მოგეხსენებათ, ხსენებული საზოგადოება ჩვენში მაინც მეტათ დიდი საზოგადოებაა. იმის ხელშია მთელი გიმნაზია, მაშ იმისთვის საჭირო თანხა და აგრეთვე არა ერთის და ორი ადამიანის ბედიღბალი. ადვილათ შეიძლება, რომ საზოგადოება დიდი ნდობით ეპყრობოდეს თავის მიერ საქმეებისთვის საწარმოებლათ ამორჩეულ კომიტეტს. მაგრამ ისიც ადვილათ წარმოსადგენია, რომ ვინც საქმეს აწარმოებს, იმას შეუძლია შეცდომაში შევიდეს ან ნებით და ან უნებლიეთ, ვერ გაითვალისწინოს ყველაფერი ის, რაც მას მხედველობაში უნდა ქონდეს. ნუ თუ აქ საჭირო არ იყო საზოგადოებას ყოლოდა სარევიზიო კომისია? ან და ეგების ეს კომიტეტისთვის შეურაცხყოფაა? მე მგონია, სრულიათაც არა. ვინც საზოგადოებას გულწრფელათ ემსახურება, იმის გული ყოველთვის ღიაა, იმას არ ეშინია შეცთომის მხილების, პირიქით ის მადლობელიც იქნება ყოველი საფუძლიანი შენიშვნისათვის. მაშ ვიმედოვნოთ, რომ შემდეგში მაინც ეს შეცთომა გასწორდება და გამგე კომიტეტის ანგარიშთან საზოგადო კრებას სარევიზიო კომისიის აზრიც მოხსენდება. საზოგადოებრივი მოქმედება. და საზოგადოებრივი კრიტიკა განუშორებელი უნდა იყოს, სადაც ერთია, იქ მეორეც აუცილებელია. თვით კრებამ ჩვენ მეტათ გულნაკლული დაგვტოვა. ოპოზიციაც იყო ჩვეულებრივათ, მარა მას აკლდა ის, რაც საზოგადოთ ოპოზიციას, როგორც რიცხვით უმცირესობას, ზნეობრივ ძალას აძლევს, მას აკლდა საბუთიანობა, საქმის ცოდნა. არც ერთი კითხვა ოპოზიციის მიერ წამოყენებული შესაფერათ არ გარკვეულა, რადგან თვით ოპოზიციასაც არ ქონდა ის გარკვეული ან და, უკეთ ვთქვათ, არ ჩანდა კამათიდან, რომ ქონოდა გარკვეული. წამოაყენეს კითხვა ქართული ენის სწავლებისათვის გადადებული ფული 75 მ. თითო გაკვეთილზე (ე. ი. რამდენი გაკვეთილი გაქვთ კვირაში, იმდენჯერ 75 მ. გეძლევათ წელიწადში) მართლა იხარჯება ამ საგანზე თუ არაო. მარა გარკვეული პასუხი ვერ მივიღეთ, რადგან თვით შეკითხვა არ იყო დასაბუთებული. ჩვენ კი დანამდვილებით ვიცით, რომ ჩვენ შკოლებში ზოგიერთ მასწავლებელს ეძლევა გაკვეთილში 50—60 მ., ზოგს კი იმნაირსავე გაკვეთილში 75 მ. ჩვენ აქ მეტათ მიგვაჩნია ამის განმარტება. შეეხენ აგრეთვე საზოგადოების მამულს „სკრას". დეფიციტი არისო. ამას, რასაკვირველია, თვით კომიტეტიც და საზოგადოებაც ხედავდა. მარა რატომაა ეს დეფიციტი, შეიძლება მისი აშორება თავიდან და როგორ მოხერხდება ეს, მის შესახებ ჩვენ არაფერი გაგვიგონია. საზოგადოთ კომიტეტის მხრით „იმედები", ხოლო ოპოზიციის მხრით სისუსტე—აი რა გამოვიტანეთ ჩვენ კრებისგან.

* * *

ჩვენ თეატრს რომ თანდათან წარმატება ეტყობა, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. რეპერტუარის თანდათან სერიოზული ხასიათის მიცემა, არტისტების მხრივ მეტი გულმოდგინება, საზოგადოების მხრივ მეტი ყურადღება—აი, რას ვხედავთ ჩვენ ამ ბოლო დროს. და იმედიც უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში ბევრი ღონეანდ[illegible] ნაკლიც მოშორებული იქნება. [illegible]ია საკვირველია, თეატრს, როგორც ცხოვრების სარკეს, მეტი მოეთხოვება. ის სავსებით უნდა გვიშლიდეს თვალწინ ცხოვრების ყოველ მოვლენას, იმის ყურადღებას არ უნდა ვამოეპაროს არც ერთი ცხოვრების ძლიერი მოვლენა. მაგრამ აქ თუ ჩვენ კმაყოფილი არ ვართ, ბევრს თეატრსაც ვერ დავაბრალებთ. ხელოვნება ითხოვს თავისუფლებას... რაც უნდა იყოს, წარმატების გზას ვადგიავართ და ჯერ ჯერობით ამითაც ვინუგეშოთ თავი. სხვათა შორის მეტათ სასიამოვნოთ უნდა ჩავთვალოთ ის გარემოება, რომ ჩვენ არტისტებს გადაუწყვეტიათ წელს, ზაფხულში, ჩამოიარონ საქართველოს თითქმის სულ ყველა დაბა-ქალაქი. დაგვრჩენია მხოლოთ ვუსურვოთ, რომ იქაც მისწდომ ფარგლებში სერიოზობისათვის არ ეღალატებიოთ.

* * *

გურიის „შუამავალი" დიდ კრიზისს განიცდის. გასულ კვირას ამხანაგობას კრება ქონდა ლანჩხუთში და ამ კრებაზე სხვათა შორის გადაუწყვეტიათ სისხლის სამართლის წესით უჩივლონ ამხანაგობის გამგეთ ყოფილს ჭეიშვილს. იმავე დროს ვკითხულობთ გაზეთში განცხადებას, რომლითაც ჭეიშვილი იწვევს ამხანაგობის წევრებს ქ. ოზურგეთში ლანჩხუთის კრების დადგენილების გასაუქმებლათ და თავის უფლებების აღსადგენათ. ბ. ჭეიშვილი რომ ყოველ ხერხს იხმარს და არას დროს ამხანაგობის ინტერესებს არ დაერიდება, ამაში ჩვენ ეჭვი არ გვაქვს. მარა აქ საგულისხმიერია ერთი მოვლენა. ჭეიშვილს ლანჩხუთში რომ საქმე წაუხთა, ოზურგეთს მიმართა, ალბათ იქ რაღაც იმედი აქვს. ჩანს, რომ ლანჩხუთი და ოზურგეთი რაღაც სხვა და სხვა ყოფილა. რაც ლანჩხუთისათვის შავია, ის ოზურგეთს თეთრათ ეჩვენება. სწორეთ რომ სამწუხარო მოვლენაა, თუ ეს მართლაც ასეა. ჩვენ მაინც იმედი გვაქვს, რომ თუ აქ რაიმე წინააღმდეგობა და შენ-ჩემობია არის, ეს იმიტომ კი არა, რომ მე ლანჩხუთელი ვარ, შენ ოზურგეთელი ო, მე რომ წადმა მივალ, შენ უკუღმა უნდა წახვიდეო. არა, აქ, მე მგონია, საქმე სხვანაირათ არის. ოზურგეთის იმედი თუ აქვს ბ. ჭეიშვილს, ეს მხოლოთ იმიტომ, რომ ოზურგეთში, როგორც სამაზრო ქალაქში, შედარებით ბევრია ისეთი პირები, რომელთაც ყოველი კავშირი გაუწყვეტიათ სოფლის მრეწველობასთან და სულ სხვა სახსარით იკვებებიან. ამათთვის ამხანაგობა ისე ძვირფასი არაა, როგორც მწარმოებელისათვის და, რა გასაკვირია, „ჩვენ სოლომონს" გვერდში ამოუდგენ და ეცადონ გაშავებულის გათეთრება. მარა ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ოზურგეთის მიდამოებში მცხოვრები მწარმოებელნი შესაფერათ დააფასებენ ამ ეაჟბატონის მოქმედებას, არ მიისურვებენ ამხანაგობის საბოლოოთ დაღუპვას და ლანჩხუთელ მწარმოებლებთან ერთათ ერთხელ და სამუდამოთ მოიშორებენ თავიდან თვით-ნება გამგეს.

სხვა-დასხვა ამბები.

პოლიცმეისტრისაგან წარმოდგენილის წლიურის ანგარიშიდან ჩანს, რომ თფილისში წარსულ წელს ყოფილა 176,162 მცხოვრები ორივე სქესისა. ამავე წელს თფილისში მომხდარა 2,059 ავაზაკობა, დამნაშავენი ყოფილან—1761 კაცი და 138 ქალი; ცეცხლი გაჩენია 57 მამულს, ამის ზარალი ყოფილა 225,152 მან., ძალით და შემოხვევით დახოცილა 161 ადამიანი. საცხოვრებელი სახლები და მაღაზიები ყოფილა 12,778 თეატრები—5. ფაბრიკები და ქარხნები—204, რომელთაც უწარმოებია—11,196,682 მან. საქმე; ამ ქარხნებში უმუშავიათ 4.053 კაცს; სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულება ყოფილა 4,187, რომელსაც უმუშავებია 24,699,716 მანეთი. ბაღებში და ბოსტნებში მიწის მოსავალი ყოფილა 104,770 ფუთი—163,450 მანეთათ ღირებული; ბაშუალო რიცხვით ფუთი ბოდის 1 მან. 57-

[illegible] ... [illegible] საკვირველს, ჩანს იქიდან,

საქალაქო სასანიტარო-საექიმო ინსპექციის ცნობებით, თფილისში აპრილის განმავლობაში 134 კაცა გახდა ავათ სხვა-და-სხვა გადამდებ სენით; ამათგან 14 სხვა-და-სხვა სახადით, 4 ყვავილით, 71 წითელათი, 18 ქუნთრუშით და 2 ჭლექით. უმეტესი ნაწილი ავათმყოფებისა ყოფილა 1-ლსა და მე-10 სა-პოლიციო უბნებში (ვერა და კუკია დიდუბეთი და ნაძალა-დევით), უმცირესი—მე-6 და მე-7 უბნებში (ქალაქის- ძველი ნაწილი ავლაბრით და ნავთლუღით).

ამ მოკლე ხანში თფილისში დაარსდა იაფ-ფასიან სასადილოებისა და საჩაიების საზოგადოება, რომელსაც აზრათ აქვს თფილისის ღარიბ ხალხს მიაწოდოს იაფ-ფასათ ან მუქთათ საღი და რიგიანი საჭმელ-სასმელი. ჯერ-ჯერობით საზოგადოების წევრთა რიცხვი ნაკლებია, რის გამო საშუალებაც ნაკლები აქვს; სამაგიეროთ ხარჯი დიდი აქვს და დღითი-დღეც ემატება. ამ ჟამათ საზოგადოება ყოველ-დღე 300—400 კაცს აწვდის უფასო სადილს, რაც თვეში 60[illegible] ანეთზე მეტს ხარჯს თხოულობს.

მიმდინარე წლის პირველ იანვრამდის ს[illegible]ლმწიფო და საერობო დარჩენილი გარდასახადი უძრავ ქონებაზე ქალაქ თფილისში ყოფილა 214,577 მან. 6 კაპ., პოლიციას გარდაუხდევინებია 75,670 მან. 69 კაპ., დარჩა გადასახდელი პირველ მაისამდე 138,906 მან. 37 კაპ.

ნება დაერთო იმ კერძო პირთ, რომელთაც სასოფლო მეურნეობის წესდების ძალით სახაზინო მიწები მიეცათ ჩერნო მორსკისა და ქუთაისის გუბერნიებში, საკუთრებათ შეიძინონ ეს მიწები, გამოცხადდა წესი იმისა, თუ როგორ უნდა დაეთმოს კერძო პირთ სახაზინო მიწები ვენახის, ბაღისა და ძვირფას მცენარეების გასაშენებლათ კავკასიაში და სხვა-და-სხვა გუბერნიებში.

„მოსკოვ. ვედომ.“ დაბეჭდილია: „245 რუსის გლეხი, რომელნიც კახეთში დაასახლეს, სულ ამოწყდა საშინელი ციებცხელების გამო (მალარია). როგორც ბატ. სეროვი იტყობინება, ერთის ზაუხულის განმავლობაში დაიხოცა სამოცი კაცი, დანარჩენები უძრავათ იწვნენ, და მინდვრიდან ჭირნახულის შემოტანაზე ვილა იფიქრებდა„.

საადრესო სტოლის გამგე ატყობინებს პოლიცმეისტერს, რომ ზოგიერთ სახლის პატრონებს არ მოაქვს ცნობა საადრესო სტოლისათვის წამსვლელ-მომსვლელებზე ანუ ვინც სხვა სახლში გადადის. პოლიცმეისტერის შემოწმებით, აქამომდე ზოგ სახლის პატრონს არ შეუძენია საოჯახო წიგნები და საადრესო ფურცლები; ზოგს შეუძენია და დაუყრია სახლში და საადრესო სტოლს არ აწვდის ცნობებს. რადგანაც ამ სავალდებულო დადგენილებას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ უბნის ზედამხედველები, ამის გამო პოლიცმეისტრებმა ოთხი მათგანი დააჯარიმა თითო ათი მანეთით, ამასთანავე გამოუცხადა ბოქაულებს, უკეთუ ისინი სასტიკ ყურადღებას არ მიაქცევენ ამ საქმის მტკიცეთ აღსრულებას, ის გუბერნიის უფროსს მოახსენებს, რომ ბოქაულები დაჯარიმოს. გარდა ამისა. ჯარიმა გადაახთევინეს მეეზოებსაც, რომელნიც თვალყურს არ ადევნებენ, რომ თავის დროზე მიქონდეთ ცნობები საადრესო სტოლისთვის რაც შეეხება სახლის პატრონებს, იმათზე ოქმებს ადგენენ ბ. გუბერნატორისათვის წარსადგენათ, რომ ისინიც დაჯარიმონ. ზოგიერთ სახლის პატრონებს უკვე გადაახთევინეს ჯარიმა.

თფილისის საზაფხულო საკრებულოს ბაღში ერთის გამართულ კონცერტისა და სეირნობისაგან ქართულ დრამატიულ საზოგადოებას შემოსვლია სულ 2000 მანეთზე მეტი. წმინდ[illegible] შემოსავალი საზოგადოებას ექნება 1300 მანეთზე მეტი.

ხუთშაბათს, 16 მაისს, სხდომა ქონდა ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს. საკრებულომ განიხილ[illegible] საკითხი იმის შესახებ, თუ როდისათვის დაინიშნოს ტფილისში ახალ ხმოსანთა არჩევნები. ამ საგნის შესახებ, როგორც გექონდა აღნიშნული, ტფილისის ქალაქის გამგეობამ ის აზრი გამოთქა, რომ, რადგანაც საარჩევნო სიების გამოქვეყნება დაგვიანდა, ასე რომ იენისის ბოლო რიცხვებამდე შეუძლებელია კრებების დანიშვნა, ხოლო ამ დროს ამომრჩევლები საგარაკოთ გავლენ ქალაქიდან, ამიტომ უკეთესი იქნება არჩევნები სექტემბრისათვის იქნეს გადადებულიო. საქალაქო საქმეთა საკრებულომ მოიწონა ქალაქის გამგეობის მოსაზრება და გადაწყვიტა ხმოსანთა არჩევნები გადაიდოს მიმდინარე წლის შემოდგომისათვის. შემდეგ, საკრებულომ გადაწყვიტა დაევალოს გამგეობას, წარუდგინოს გუბერნატორს გამგეობის მეოთხე წევრის თანამდებობაზე საბჭოსაგან ამორჩეული სამივე კანდიდატი, რომელთაგან ადმინისტრაციის შეხედულებით ერთი იქნება დამტკიცებული. საკრებულომ ქალაქის საბჭოს გარდაწყვეტილება ნ. ე. ზუბალაშვილის სახელობაზე უძღურთა თავშესაფარის აშენების შესახებ მოიწონა და დამტკიცა შეუცვლელათ.

გავახსენებთ ჩვენ მკითხველებს, რომ დღეს, 10 საათზე, სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია წერა-კითხვის საზოგადოების წლიური კრება, რომელიც განიხილავს რამდენიმე მეტათ საყურადღებო კითხვას.

ხუთშაბათს, 16 მაისს, ქალაქის გამგეობის სხდომაზე გამგეობის წევრმა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა წარადგინა განსახილველათ მოხსენება იმის შესახებ, რომ, რადგანაც ახლათ გახსნილ ხორცით სავაჭრო საქალაქო დუქანს იმდენი მუშტარი აწყდება, რომ შეუძლებელი ხთება რიგიანათ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, კარგი იქნება ასეთივე დუქნები გავხსნათ ქალაქის მე-9 და მე-10 ნაწილებშიაც. გამგეობა პრინციპიალურათ თანახმათ გაუხთა თავ. ჩერქეზიშვილის მოხსენებას და გადაწყვიტა დაევალოს ქალაქის სამეურნეო-სავაჭრო პოლიციის უფროს ზედამხედველს გამოარკვიოს, კუკიის რომელ ნაწილში უკეთესი იქნება დუქნების გახსნა.

ხელოსნების ზოგიერთ მამასახლისებსა და ამქრის უფროსებს გადაუწყვეტიათ თხოვონ თფილისის გუბერნატორს, რომ 12 მაისს კრებაზე ხელოსანთა მოურავის სერობიანცის არჩევანი გააუქმოს და დანიშნოს ახალი კრება ამ თანამდებობაზე ორი კანდიდატის ამოსარჩევათ.

კორესპონდენცია.

ზემოჩიბათის სამკითხველო. (გურია). ზემოჩიბათის სამკითხველო დაარსდა 1900 წელს. სოფლელები დიდ სიხარულს მიეცენ, როცა მათ სამკითხველო დაინახეს თავის სოფელში და დიდას დაარსებისა იწყეს სიარული სამკითხველოში სხვა-და-სხვა ამბების მოსასმენ-წასაკითხათ. მაგრამ საუბედუროთ ამ სამკითხველოში მკითხველი ვერ ნახულობს საკითხავ წიგნებს და გაზეთებს. ერთადერთი „ცნობის ფურცელი“, ისიც ცასული თვის ბოლოს მაგიდაზე ამატომ მას ეკარგვის ინტერესი კითხვისადმი და ადარ შედის მეორე ჯერ სამკითხველოში. ასეთი სამკითხველო სოფლების თვალ-

რის ქ. კვეზალტენანგი, რომელშიაც 25.000 სული მცხოვრები იყო. ადგუბულების რიცხვი ჯერ დანამდვილებით არ იცოდნ, მაგრამ იგი ერთობ დიდი უნდა იყოს. ამტკიცებენ, რომ ამ მიწის ძვრას პირდაპირი კავშირი აქვს მარტინიკის და სენ-ვინცენტის კატასტროფასთან.

ესლა იგონებენ Ჰუმბოლტის წინასწარმეტყველებას—ანტილის კუნძულები დიდუბება მიწისქვეშეთის ცეცხლის საშინელ ძალთა მოქმედებითო, და კითხულობენ, ესლა ხომ არ სრულდება ეს წინასწარმეტყველებაო.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ბურებთან მშვიდობიანობის ჩამოგდებაზე მოლაპარაკების შესახებ არაფერს არ უშვებს ტენზურა, ისე რომ ყველა მითქმა-მოთქმა, ყველა ის იმედები, რომელსაც გამოსთქვამენ ინგლისელები და მათი გაზეთები მოკლებულია სიმართლეს. ეს ხმები ნაკოფეა ინგლისელების ფანტაზიისა ომის მალე გათავების სურვილით. ამ საგნის შესახებ არა ისმის რა არც ამსტერდამში, რაც ნიშანია იმისა, რომ ბურებს ალბათ უარი უთხრეს ინგლისელებმა კრუგერთან დაბეჭდეთ მიწერ-მოწერისა. შტეინის ერთი რწმუნებულ პირთაგანის სიტყვით შერიგება სურთ როგორც ბურებს, ისე ინგლისელებს, საქმე შემდგარია მხოლოთ იმაზე, როგორ გადაწყდება კითხვა ამნისტიის შესახებ. ბურების სარდალთა შორის სრული თანხმობაა.

როგორც ვიცით, ინგლისმა სამეგობრო ხელი გაუწოდა იაპონიას და მასთან კავშირი შეკრა. ამ კავშირს, როგორც ჩანს, ჩინეთის მანდარინებზედაც ქონია ერთგვარი გავლენა, რადგან მათ მოაწერეს ხელი ინგლისის ზოგიერთ პირობებზე, რომელნიც უეჭველად გამოიწვევენ წინააღმდეგობას სხვა სახელმწიფოების მხრიდან. ინგლისი, რომელიც დღემდე იმას ქადაგებდა, რომ ჩინეთის კარი ღია უნდა იყოს ყველა სახელმწიფოთათვის, დღეს ისეთ პირობებს იძენს იმავე ჩინეთში, რომელთა მეოხებით უპირატესობა ეძლევა მას იქ. ჩანს, ინგლისს სურს უეჭველად გამოიტანოს სარგებლობა იაპონიასთან ხელშეკრულობით ჩინეთიდანაც.

ამისთანა საქციელი ინგლისისა, როგორც ვთქვით, აამხედრებს რამც თუ იმ სახელმწიფოებს, რომელნიც აუკარა ეწინააღმდეგებიან ინგლისს ჩინეთის გამო, არამედ იმისთანა სახელმწიფოებსაც კი, როგორც ამერიკა და გერმანია, რომელნიც მხარს უჭერდენ მუდამ ინგლისს სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ ჩინეთის საქმეებში. ინგლისმა ამით ესლა უკვე გამოაჩინა თავისი საწადელი და მისი სურვილი დღეს ადარავისთვის ადარ შეადგენს საიდუმლოს. უკანასკნელი შეთანხმება ჩინეთთან იმის გარდ, რომ ეხება ყველა სახელმწიფოების ინტერესებს, პირდაპირ ეწინააღმდეგება აგრეთვე რუსეთის საქმეებსაც ჩინეთში. ეს იქიდან ჩანს, რომ ჩინეთის ინგლისმა ჩამოართვა პირობა—არ მისცეს არც ერთს სახელმწიფოს შანხაგუანის ორივე სანაპირებზე 80 მილის მანძილზე რკინის გზის გაყვანის უფლება. ამ პირობის მიზანია დაუშალოს რუსეთს, რომ მან არ შეაერთოს რკინის გზით პეკინთან მონგოლიის საზღვარზე რუსეთის საკუთარი ადგილები; რადგან ჩინეთმა კარგათ იცის რომ რუსეთი მართლაც აპირებს ამგვარი გზის გაყვანას. ინგლისის ამგვარი მოქმედება აშკარათ გვიჩვენებს, რომ მას ამგვარი ხელშეკრულებით მიზნათაა აქვს რამც თუ საკვლრო ინტერესები, არამედ პოლიტიკურიც, ე. ი. მას სურს მოსპოს რუსეთის გავლენა ჩინეთის ჩრდილოეთ ნაწილში. ამ შემთხვევაში ადგა უკვე დრო, როდესაც რუსეთსაც ეძლევა ნება და შემთხვევა დაარღვიოს ის პირობანი, რომელნიც მან დადო მანჯურიის შესახებ, რადგან ამ პირობათა შორის არის ერთი მუხლი, რომელიც ამბობს, რომ თუ ჩინეთის მთავრობამ დაარღვია რომელიმე ზემოხსენებული პირობა, მაშინ რუსეთსაც ეძლევა ნება უარეოს ზემოხსენებული ხელშეკრულობა და არც აგებს პასუხს ამის გამო გამოწვეულ შედეგებზეო.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. ხმები იმის შესახებ, რომ ვალდეკ-რუსო თავს ანებებს სამინისტროსო, მართლდება. გაზ. „Temps“-ი იტყობინება, რომ ვალდეკ-რუსომ უკვე გამოუცხადა ამის შესახებ პრეზიდენტ ლუბეს. მინისტრი უკვე შესრულებულათ თვლის თავის პროგრამას, რომლითაც ის შევიდა პალატაში ამ სამი წლის წინეთ. რესპუბლიკის დაცვა, წესრიგი და რესპუბლიკანური კეთილობა მისი აზრით უკვე უზრუნველყოფილია და მისი საბრძოლველი საქმეც უკვე სასრულეში მოუყანილია, ამიტომ მან გადწყვიტა დანებოს თავი თავის თანამდებობას და რესპუბლიკის პრეზიდენტს დაუთმო ახალი კაბინეტის შედგენა. ამას გარდ ვალდეკ-რუსოს სწერია დასვენებაც, რადგან სამი წლის დაუცხრომელმა შრომამ ის მეტათ მოდალა და დასუსტა. თავისი განზრახვა მან ყველა ამხანაგებსაც შეატყობინა.

უნდა ვთქვათ, რომ ეს პირველი მაგალითია საფრანგეთის რესპუბლიკის ცხოვრებაში, რომ სამინისტრო ანებებდეს თავს სამსახურს მეორე დღესვე თავის ხელ-ახალი ამორჩევისა და ისიც მაშინ, როდესაც მან ძველა-მოსილათ გაიმარჯვა.

„Temps“-ის სიტყვით, ახალი კაბინეტი უეჭველათ რესპუბლიკანური იქნება, რადგანაც სხვაგვარი ხასიათის სამინისტროს დღეს არა აქვს ნიადაგი.

ᲑᲔᲚᲒᲘᲐ. მე მინდა უთხრა მკითხველს რამდენიმე სიტყვა მუშათათვის ერთ კოოპერატიულ ბურის საცხობზე, რომელიც დაარსებულია მათისავე ძალ-ღონით და წარმოებს დღეს მათი გამგეობით. ეს ბურის საცხობი დაარსა ვინმე ანსლეემ. ანსლეე თვით დარბი მუშის შვილია. მისი მამა იყო ხარაზი და თუმცა წერა-კითხვაც კი არ იცოდა, მარა თვისი პატიოსნებით დიდი პატივისცემა ქონდა დამსახურებული ნაცხობთაგან. ის დღე მუდამ შრომაში ატარებდა, იკლებდა თვით ეოველიფერს, რომ შვილისთვის კაი განათლება მიეცა. ბოლოს ანსლეე მაინც მოუხდა, რომ სწავლისთვის თავი დანებებია, რათა თავისი შრომით გამოკვებილიყო. პირველათ ის შევიდა ერთ არხიტექტორთან, მერე ბურის მცხობელთან და შემდეგ მუდის მადაზიაში ნოქრათ. ამ დროს ანსლეე არა თვიქრობდა არავითარ საზოგადო მოდგაწეობაზე. მას ეს აზრი აღუძრა ერთმა შემთხვევამ.

ერთხელ ის, როდესაც სახლში ბრუნდებოდა, შემთხვევით შეესწრო ერთ სახალხო სახლში მიტინგს, დაპარაკობდა გამოჩენილი მწერმეტყველი ორატორი... ედუარდ ანსლეე პირველათ ესმოდა ამგვარი სიტყვა და მაზე დიდი გავლენა იქონია. მიტინგიდან ის დაბრუნდა მთლათ თვიქრებში გართული. ამ დღიდან ის თვიქრობდა იმისთანა საგნებზე, რომელზედაც წინეთ არ შეუჩერებია თავისი აზრი. ბოლოს ანსლეე წავიდა ანტვერპენში და აქედან გასწია დონდონში. ბოლოს, როგორც იყო, დაბრუნდა ისევ გენტში. მთელ ამ დროს განმავლობაში მას არ ასვენებდა მაინც ერთი აზრი: დაეარსებინა საზოგადო ბურის საწყობი და ეყიდა ბური იაფ ფასათ, როგორც იყო იქონია გავლენა თავის ამხანაგებზე, შეკრიბა ისინი და ერთ სარდაფში მოაწყვეს პატარა ბურის საცხობი და როგორც იყო წლის ბოლოს შეიძინეს 500-მდე წევრი. ამის შემდეგ საქმე თანდათან იზდებოდა და დგებოდა მკვიდრ ნიადაგზე. დღეს ზემოხსენებულ საზოგადოებას 7000 წევრი ყავს, ბურის საცხობის გარდ აქვს საკუთარ შენობებში სურსათის მაღაზია, ხახშირის საწყობი, ალუთაქი, ყავახანები, ტანისამოსის მაღაზიები და სხვა... უმთავრესი შოურავი საზოგადოებისა იღებს 30 ფრანკს კვირაში. საზოგადოებას აქვს აგრეთვე საკუთარი სტამბა, საკუთარი გაზეთიც.

ᲡᲐᲛᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲔᲠᲔᲑᲘ. ავსტრიის დელეგაციების სხდომაზე გოლუხოვსკის განცხადება სამთა-კავშირის განახლებაზე დიდათ მოეწონა გერმანელებს, სამაგიეროთ სლავიანთა დელეგატებმა ერთხმივ პროტესტი განაცხადეს სამთა-კავშირის წინააღმდეგ. ჩეხების მხრივ ილაპარაკა კრამარჟმა, პოლონელების მხრივ—კაზლოვსკიმ, სლოვენების მხრივ—ვუტკოვიჩმა.

აქამდე ავსტრიელი პოლონელები ყოველთვის მხარს აძლევდენ მთავრობას და სამთა-კავშირსაც თანაგრძნობით ეკიდებოდენ. ამიტომ კაზლოვსკის სიტყვამ მეტი ყურადღება მიიქცია. კაზლოვსკი ამტკიცებდა, რომ გერმანიასთან კავშირი დიდათ მაზარალებელია ავსტრიისათვის და ამიტომ ავსტრია არც უნდა ცდილობდეს სამთა-კავშირის შენახვას. რამდენათ აგდებულათ ეკიდება გერმანია თავის მოკავშირეს, ჩანს იქიდან,

თუ როგორ ეპყრობა გერმანიის მთავრობა ავსტრიის ქვეშევრდომ პოლონელებს. გერმანიის მთავრობა მეტის უდივროებით და სისასტიკით ექცევა ავსტრიელ მუშებს, არღვევს საერთა-შორისო საფოსტო დადგენილებას, ხსნის წერილებს, დევნის გერმანიის საზღვრებიდან სლავიანელ მუშებს.

კაზლოვსკის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და გოლუხოვსკიმ ვრცელი პასუხი გასცა პოლონელ დელეგატს მოხდენილ შთაბეჭდილების გასაქარწყლებლათ. მინისტრი ამტკიცებდა, რომ გალიციელ მუშების განდევნას გერმანიის საზღვრებიდან არ ქონია საზოგადო და სისტემატიური ხასიათი. მაგრამ კაზლოვსკიმ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ცნობებით და გერმანულ წყაროების საშუალებით დაუმტკიცა ყველას თავის სიტყვების სრული ჭეშმარიტება და უსაყვედურა გარეშე საქმეთა მინისტრს, რომ მისი ხელ-ქვეითი დაწესებულებანი, საკონსულოები, ყურს არ უგდებენ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს და არ კრებენ საჭირო ცნობებს.

როგორც ვიცით, ბოლოს მაინც მოწონებული იქნა გოლუხოვსკის პოლიტიკა, მაგრამ პოლონელების ამ ახალ გზაზე გამოსვლას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს. პრუსიის მთავრობა, რომელიც ასეთ ურცხვობითა და შეუბრალებლობით დევნის პოლონელებს, მისი ქვეშევრდომი იქნება იგი, თუ ავსტრიის ან რუსეთის, იძულებული იქნება ან გამოეთხოვის ბისმარკის მიერ შექნილ საერთა-შორისო კომბინაციას, რომელიც ასე სასარგებლოა გერმანიის იმპერიისათვის, ან და შეცვალოს თვისი ძალ-მომრეობითი პოლიტიკა პოლონელების წინააღმდეგ. ავსტრიაში პოლონელებს და ჩეხებს, რომელნიც დიდი ხანია მოწინააღმდეგენი არიან გერმანიასთან კავშირისა, დიდი გავლენა აქვთ, ეს გავლენა დღითი დღე იზრდება და შორს არ არის ის დრო, როცა სლავიან ერების გავლენა ავსტრიის, პოლიტიკაზე უძლეველი იქნება. თუ ამ დროისათვის პრუსიის მთავრობის პოლიტიკა ისეთივე იქნება, როგორიც ეხლა არის, გერმანია განმარტოვებული დარჩება ევროპაში.

სამშობლოში.

სალამი ჩემო სამშობლო მხარე,
აკვანო ჩემო ყმაწვილობისა,
ერთგულო ძუძუ, უბადლო სატრფო,
ჩანგო წარსულის მოგონებისა!

—

აჰა, კვლავ გნახე, უცხო ფირუზო,
ორი მთის შუა ჩაკრულო თვალო,
ზამთარ და ზაფხულ მაისის დილავ,
ედემ—სამოთხე, მის ცალ-ბადალო!
აჰა, კვლავ გავცქერ გომბორის მთიდან
კავკასიის მთას, შენს დარაჯს ერთგულს,
ალაზნის ველსა, გარშემო ჭალებს,
და შენს გულ-მკერდსა მათში ჩახვეულს.
ვუცქერ და ფიქრი, ვით მყინვარს ნისლი,
მეხვევა, წარსულს მიშლის, მაგონებს,
ხან სიხარულით ივსება გული,
ხან კი სიმწარით მათრობს, მაღონებს.
ეხ, მთებო! მთებო! გახსოვთ თუ არა
თქვენსა კალთებზე ხტომა, ნავარდი,
და დილის სხივით აფეთქებული
კოკორ აშლილი მაისის ვარდი?!
მკითხეთ: სადღაა ეხლა ის ჟინი,
ყმაწვილობისა უშანკო გული,
ვით ტინის წყარო, მისებრივ წმინდა
სპეტაკი გრძნობა და სიყვარული?!
მკითხეთ: რაიქნა ამაყი ფიქრი
თქვენს მწვერვალებს რო ეტოკებოდა
და ვით ღრუბელნი თქვენს გუმბათებზე,
ისიც ლაღ ფრთებით მიქრივ-მოქროდა!
სად არი იგი უდარდელობა
და თაიგული გაზაფხულისა?!
მთებო! ის გაქრა... მხოლოთ აჩრდილი
თანამდევს ახლა იმ წარსულისა!
გაქრა, წავიდა ყრმობის სიზმრები,
ჩანთქა ცხოვრებამ, მის ქარიშხალმა,
გული ჩავწურე ზღვაში ნაღველათ,
სხეა იალქანი მოიბა ნავმა!
სხვაფერ ვღიღინებ, ახლა სხვას ვმღერი,
ვმღერი, თუმც ღიღინს ცრემლიც თანა სდევს.
და ახლა, მთებო, თუმც კვლავ მიყვარხართ,
მაგრამ ეს წყლულებს ვერ დააამებს!
მიყვარხართ ახლაც, მსურს თქვენს გაზაფხულს,
ჩემი იმედიც შეეხმატკბილოს,
და მაშინ ნახავთ ვით მოვილხინო,
როს გულმაც ლაღათ დაიღიღინოს!

—

მაშ სალამს გიძღვნი, სამშობლო მხარე,
აკვანო ჩემი ყმაწვილობისა,
ერთგულო ძუძუ, უბადლო სატრფო,
ჩანგო წარსულის მოგონებისა!

ი. ეკდოშკილი.

შაქრის ალსარება.

(ამბავი).

შემდეგი *)

III.

ბურთივით აიტაცეს გულ-წასული შაქრო ლაქიებმა და ის ის იყო ბაღის კარებთან მდგომარე ქუჩის-მცველებისათვის უნდა გადაეცათ პოლიციაში წასაყვანათ, რომ სანდრო გამოირკვა. თავ-გამოდებით მივარდა ლაქიებს, ხელიდგან გამოჰგლიჯა შაქრო და მოსულიერება დაუწყო. ნჯღევა-თრევისა თუ სანდროს გამოლაპარაკების ბრალი იყო, შაქრო მალე გონს მოვიდა. ნაღვლიანათ გადაავლო თვალი იქ მყოფთ და დამნაშავესავით დარცხვენილმა მხარი იცვალა, წელანდელ ყრუ ხეივნისაკენ გასწია. სანდროც უკან დაედევნა.

ხალხის კრება, ბრბო, ტპასა ჰგავს. ვიდრე ტბაში გადასროლილ ქვისაგან გამოწვეული ტალღები ნაპირებს ლივლივით უახლოვდებოდა ხოლმე. შუაგული ტბისა კიდეც მ მვიდდება და გარინდებული შესცქერის ცის კამარასა. ასე მოხდა ახლაც. ვიდრე ყველა გაიგებდა რა ამბავიც იყო სანდროს ბარემო, შაქრო და სანდრო კიდეც მოშორდენ აჩოჩქოლებულ ბრბოს, ხოლო ცნობის-მოყვარეობა აღძრულნი ლაქიები ერთმანეთს ხმა დაბლა ესაუბრებოდენ.

— ვინაა ნეტა მაი ყაძახი! რეიზა მოეხეტა აქანიო? იკითხა ერთმა.

— ლოთი, წამხდარი იქნება ვინმე—თქვა მეორემ.

— ეშმაკმა იცის მ ის თავი. იქნება ძაან კაი კაციც იყოს, მარა ვინ იცის ცხოვრება რას არ შეახვევნს კაცსა. ცოტაა განა გაუბედურებული ნასწავლი ადამიანი? დაუმატა მესამემ.

— იმ ერთს ქე ვიცნობ, აი კოხტათ რო იყო გამოწყობილი, დიდი გამომძიებელი როა აქანაი, დიდი პროკრო, ამისი პოლოშნიკია (თანაშემწე) იგი ცუდი კაცისათვის არ

*) იხ. „კავკასი“ № 19.

გამოიდებდა თავს... წაიბურტყუნა მეოთხემ და კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ამდროს მოესმათ ბაღის პატრონის გაჯავრებული ხმა.

— ყრუი ხართ, საინები დაამტვრიეს მუშტრებმა ამდენი ჩხაკუნით, და თქვენ კი არა გესმით რა...

— სჩას! სჩას! თუთუყუშებივით წამოიძახეს ლაქიებმა და მაგიდებს ჩამოურაგდენ.

სმა-ჭამა ქეიფს ნირი არ შეცვლია. ნახევრათ გატეტვლებული ქალიც ისევ ისე აღზნებით დამღეროდა მოქეიფეი და გულ მკერდს ვნება-აღმძვრელათ ათამაშებდა. დრო გამოშვებით ეშმაკურათ ჩაუკრავდა ხოლმე თვალს პირველ რიგში მსხდომარე „ოსტავკაში“ გამოსულ მხცოვანებს და თითქოს უნდა ჭკუიდგან გადარიოს უიმისოდაც გამოთაყვანებული ბებრებია, ფეხებს უსირცხვილოთ ატლინკებდა... აღტაცებაში მოდიოდენ ბებრები ქალის ამ ტლინკვით და ერთმანერთს კანკალით მუჯლუგუნებს სცემდენ... რა იცოდენ საცოდავებმა, რომ ამ დროს მოთამაშე ქალი ზიზღსა გრძნობდა მათდამი და გუნებაში ლანძღავდა, სწყევლიდა ყველა იმათ, ვინც კი ერთი მეორეს თავის სათამაშო ნივთათ ხდის ხოლმე...

ზიზღით იხსენიებდა ხეივანში სანდროს გვერდით მჯდომარე შაქროც თავისს წარსულს, თავისს აწმყოს და ცხოვრების სიავით გამწარებული, სწყევლიდა თავისს გაჩენის ღღესა. სმენათ გარდაქცეული სანდრო კი გაკვირვებით შეჰყურებდა შაქროს და თავისათვის ჯერ ანგარიში ვერ მიეცა.

— უკაცრავათ, სანდრო, მგონი შეგაწუხე... შეგარცხვინე ჩემის მოახლოვებით. ბრბოს საყურებელი, სალაღობო გაგხადე. მერე რა ტანჯვაა, როდესაც ბრბოს პირში უვარდები და ათასი ცნობის მოყვარე თვალი გულ-ღვიძლში გიღლის და ცდილობს ხელი გააფათურის შენს არსებაში, შეიტყოს ვინა ხარ, რა ხარ, რა გწადიან, რა გადაგხედია, ერთის სიტყვით სურს თავით ფეხამდის აგწონ დაგწონოს, რომ თავისი ცნობის მოყვარეობა დაიკმაყოფილოს... რათ, რათ მოვედი შენთან! აუმაღლა ხმას შაქრომ: — მეგობრები, ხალხი, მუსიკა, ელექტრონი, ყველა ეს, ჩემო ძმაო, ბედნიერებისათვის მათ საოცნებოთ არის გაჩენილი, უბედურს, კი უფრო სიცოცხლეს უწამლავენ...

— რას ამბობ ბიჭო!... ჰკვირობდა სანდრო, რამ დაგცა აგრე, რა შეკემთხვა განა ისეთი, რომ ადამიანს აღარა გევხარ. გაკვირვებით ეკითხებოდა სანდრო.

— ჩემთან ყოფნისა ხომ არ გრცხვენიან, მოულოდნელათ სიტყვა ბანზე აუგდო შაქრომ და თავისს ყოფილ ამხანაგს თვალებში ჩაეცქერდა.—ნუ, ნუ დამალავ, ჩემო სანდრო, მე ხომ ვიცი, მე ვგრძნობ რომ ჩემმა სიახლოვემ ცოტა არ იყოს შეგარცხვინა, დაგამცირა იმ ბრბოს თვალში, რომელიც წეღან შემოგვხვევოდა და ასე გაკვირვებით გვათვალიერებდა შენცა და მეცა. რა სურათი იყო და! ახალგაზდა თავ-მომწონე ყმაწვილი, უკანასკნელ მოდაზე გამოწყობილი, სუნნელოვან წყლებით განბანილი-გაბრწყინებული და მის გვერდით კი აბრანძული, აჩრდილის მსგავსი ადამიანი, რომელიც ამ ბრწყინვალე ყმაწვილ კაცს თავისს ამხანაგს, თავისს მეგობარს არქმევს, საჩოთიროა ხომ ასეთი მდგომარეობა? ხა, ხა, ხა! მწარეთ გადიხარხარა შაქრომ და უფრო მწარეთ დაუმატა. დიახ, საჩოთიროა, რადგანაც ხალხი, ბრბო თვალებითა ცხოვრობს და ადამიანის გულში კი არ იხედება. მე მთვრალი, მაწანწალა ვეგონეთ, ზიზღით შემომხედეს, გაგდებას მიპირებდენ, რომ თვალებში არ წავჩხიროდი და ის კი არ იცოდენ მე რა ვიგრძენ იმ დროს, როდესაც შენ დაგინახე, რა იცოდენ უბედურებმა, რომ იმ დროს მეც მომშივდა სიცოცხლე და მომწყურდა თანაგრძნობა, თორემ განა მე არ ვიცი, რომ ახლა მე და შენ საერთო აღარა გვაქს რა.

სანდრო ხმა გაკმენდილი ისმენდა შაქროს ლაპარაკს და სავსებითაც ეთანხმებოდა მის დასკვნას, მაგრამ ვერა ბედავდა სიტყვიერათ გამოეთქვა თავისი აზრი.

სანდრო ბელურაძეს დიდი ხანია შეისისხლხორცა ევრეთ წოდებული „საზოგადოებრივი თავაზიანობა“ და იმ თავით ამ თავამდის არც ერთხელ არ უღალატნია ხალხის იმ ჩვეულებისათვის, რომელსაც „საცა არა ჯობს გაცლა ჯობს“ ჰქვიან და რომლის წყალობითაც ხალხი ნელ-ნელა გაორპირდა, გათვალთ-მაქცდა, საზოგადოთ, ხალხის მიერ შემოღებული თავაზიანობა მოითხოვს, რომ გულ-წრფელი პირდაპირი არ იყო. ვთქვათ შენმა უფროსმა სისულელე წამოროშა, შენ, უნცროსმა, აუღელვებლივ უნდა მოისმინო ეს სისულელე და ზდილობიანათ აიტანო ამ სისულელის მოსმენა, ან კიდევ ძრიელმა შავს თეთრი უწოდა, შენ, უძლურმა, ბალი აღა უნდა მოახსენო, თორემ ცხოვრებაში კეთილი არ დაგეყრება.

ხმა ღვთისა და ხმა ერისაო, ნათქვამია და იქ სადაც ერი, უმრავლესობა, შეუგნებელია, უფროს ერთ შემთხვევაში თითოეული მისი წევრიც მონაა ამ უმრავლესობის ზნე-ჩვეულებისა და შეხედულებისა. სანდრო, როგორც წევრი თავისის საზოგადოებისა, სრული მონა იყო უმრავლესობის გულის-თქმისა, ხალხ რიგორც სულიერი არსება, რომელსაც სმა და ჭამა სიცოცხლე სჭირია, გულ-გრილათ ურიგდებდა არსებულ დამოკიდებულებას ურთი-ერთ შორის და უდარდელათ აყოლოდა უმრავლესობის ფეხის ხმასა... სანდროს ცხოვრების სახსარი სახელმწიფო დაწესებულებაში სამსახური იყო და როგორც მოხელე სამაგალითოთ ასრულებდა თავისს დანიშნულებას. დილით თავის დროზე მიდიოდა სამსახურში, დანიშნულ დრომდის მუყაითათ მუშაობდა, არსებულის ცირკულიარებისა და პრიკაზებისათვის თავის დღეში არ უღალატნია, უფროსი არასოდეს არ გაუჯავრებია, აკრძალულ საგნებზე მსჯელობა არ ქონია, თავისზე პატარასათვის თავი არ გაუყადრებია, უფროსს არ ახირებია და თავისის ლმობიერის ხასიათის მეოხებით ნელ-ნელა მაღლა-მაღლა მიდიოდა, ღირსეულისა და შეგნებულის კაცის სახელს იმსახურებდა. მუდმივმა ფერებამ, მუდმივმა თავაზიანობამ თასმასავით მოთელა სანდრო ბელურაძე, ხოლო სამსახურში დაწინაურებამ ცხოვრების საშუალება,—კარგი ჯამაგირი, საპატივო ნაცნობები შესძინა და გაკეთდა კაკალი კაცი! სანდროს ხმასა და სახელს დიდი პატივის ცემით ეპყრობოდენ მასზე დაბლა მდგომნი და ეს კი მის თავმოყვარეობასაც აკმაყოფილებდა. სამსახურის გარდა, და პირად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გარეშე სანდროსათვის სხვა არა არსებობდა რა ამ ქვეყნათ და ყველას იმდენათ აფასებდა, რამდენათაც მას ემორჩილებოდენ, პატივსა ცემდენ, აწინაურებდენ, ემსახურებოდენ... ერთი სიტყვით სანდრო თანამედროვე ცხოვრებით მოქნილი ახალგაზდა იყო და კარგათაც ქონდა აღებული ამ ცხოვრების ჰანგი... ამყოლს აყვებოდა ხოლმე, დამყოლს დაყვებოდა, დიდებს ეტმასნებოდა, პატარებს მფარველობდა, მაგრამ ამ აყოლ-დაყოლაში თავისი თავი, პირადი საკუთრებლობა კი არ ავიწყდებოდა. ცხოვრობდა ტლუ სანდრო, როგორც მდიდრულათ მორთულ ოთახში მდიდრულ ტახტზე მიგდებული ხავერდის მუთაქა, უწყინარათ უზრუნველათ და კეკელაობდა როგორც გასათხოვარი ქალი, სულითა და გულით მარტო თვის ოცი რიცხვი უყვარდა. თუმცა ჩანდისხან ვითომ საზოგადო საქმესაც ეტანებოდა ხოლმე, მაგრამ ისე ოსტატურათ კი, რომ უფროსებს არ სწყენოდათ...

შაქრომ მალე შეატყო სანდროს, რომ იგი თავ-დავიწყებას მისცემია, „გადიდკაცებულა“, მაგრამ იმდენათ მწვავე იყო მისთვის თავისი წარსულის მოგონება, იმდენათ ტანჯავდა და აღრჩობდა სურვილი გულის ნადების გამოთქმისა, რომ ამ ჟამათ მისთვის სულ ერთი იყო ვისაც კი

სანდრო ხმა გაკმენდილი ისმენდა შაქროს ლაპარაკს და სავსებითაც ეთანხმებოდა მის დასკვნას, მაგრამ ვერა ბედავდა სიტყვიერათ გამოეთქვა თავისი აზრი.

სანდრო ბელურაძეს დიდი ხანია შეისისხლხორცა ევრეთ წოდებული „საზოგადოებრივი თავაზიანობა“ და იმ თავით ამ თავამდის არც ერთხელ არ უღალატნია ხალხის იმ ჩვეულებისათვის, რომელსაც „საცა არა ჯობს გაცლა ჯობს“ ჰქვიან და რომლის წყალობითაც ხალხი ნელ-ნელა გაორპირდა, გათვალთ-მაქცდა, საზოგადოთ, ხალხის მიერ შემოღებული თავაზიანობა მოითხოვს, რომ გულ-წრფელი პირდაპირი არ იყო. ვთქვათ შენმა უფროსმა სისულელე წამოროშა, შენ, უნცროსმა, აუღელვებლივ უნდა მოისმინო ეს სისულელე და ზდილობიანათ აიტანო ამ სისულელის მოსმენა, ან კიდევ ძრიელმა შავს თეთრი უწოდა, შენ, უძლურმა, ბალი აღა უნდა მოახსენო, თორემ ცხოვრებაში კეთილი არ დაგეყრება.

ხმა ღვთისა და ხმა ერისაო, ნათქვამია და იქ სადაც ერი, უმრავლესობა, შეუგნებელია, უფროს ერთ შემთხვევაში თითოეული მისი წევრიც მონაა ამ უმრავლესობის ზნე-ჩვეულებისა და შეხედულებისა. სანდრო, როგორც წევრი თავისის საზოგადოებისა, სრული მონა იყო უმრავლესობის გულის-თქმისა, ხალ ხ რიგორც სულიერი არსება, რომელსაც სმა და ჭამა სიცოცხლე სჭირია, გულ-გრილათ ურიგდებდა არსებულ დამოკიდებულებას ურთი-ერთ შორის და უდარდელათ აყოლოდა უმრავლესობის ფეხის ხმასა... სანდროს ცხოვრების სახსარი სახელმწიფო დაწესებულებაში სამსახური იყო და როგორც მოხელე სამაგალითოთ ასრულებდა თავისს დანიშნულებას. დილით თავის დროზე მიდიოდა სამსახურში, დანიშნულ დრომდის მუყაითათ მუშაობდა, არსებულის ცირკულიარებისა და პრიკაზებისათვის თავის დღეში არ უღალატნია, უფროსი არასოდეს არ გაუჯავრებია, აკრძალულ საგნებზე მსჯელობა არ ქონია, თავისზე პატარასათვის თავი არ გაუყადრებია, უფროსს არ ახირებია და თავისის ლმობიერის ხასიათის მეოხებით ნელ-ნელა მაღლა-მაღლა მიდიოდა, ღირსეულისა და შეგნებულის კაცის სახელს იმსახურებდა. მუდმივმა ფერებამ, მუდმივმა თავაზიანობამ თასმასავით მოთელა სანდრო ბელურაძე, ხოლო სამსახურში დაწინაურებამ ცხოვრების საშუალება,—კარგი ჯამაგირი, საპატივო ნაცნობები შესძინა და გაკეთდა კაკალი კაცი! სანდროს ხმასა და სახელს დიდი პატივის ცემით ეპყრობოდენ მასზე დაბლა მდგომნი და ეს კი მის თავმოყვარეობასაც აკმაყოფილებდა. სამსახურის გარდა, და პირად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გარეშე სანდროსათვის სხვა არა არსებობდა რა ამ ქვეყნათ და ყველას იმდენათ აფასებდა, რამდენათაც მას ემორჩილებოდენ, პატივსა ცემდენ, აწინაურებდენ, ემსახურებოდენ... ერთი სიტყვით სანდრო თანამედროვე ცხოვრებით მოქნილი ახალგაზდა იყო და კარგათაც ქონდა აღებული ამ ცხოვრების ჰანგი... ამყოლს აყვებოდა ხოლმე, დამყოლს დაყვებოდა, დიდებს ეტმასნებოდა, პატარებს მფარველობდა, მაგრამ ამ აყოლ-დაყოლაში თავისი თავი, პირადი საკუთრებლობა კი არ ავიწყდებოდა. ცხოვრობდა ტლუ სანდრო, როგორც მდიდრულათ მორთულ ოთახში მდიდრულ ტახტზე მიგდებული ხავერდის მუთაქა, უწყინარათ უზრუნველათ და კეკელაობდა როგორც გასათხოვარი ქალი, სულითა და გულით მარტო თვის ოცი რიცხვი უყვარდა. თუმცა ჩანდისხან ვითომ საზოგადო საქმესაც ეტანებოდა ხოლმე, მაგრამ ისე ოსტატურათ კი, რომ უფროსებს არ სწყენოდათ...

შაქრომ მალე შეატყო სანდროს, რომ იგი თავ-დავიწყებას მისცემია, „გადიდკაცებულა“, მაგრამ იმდენათ მწვავე იყო მისთვის თავისი წარსულის მოგონება, იმდენათ ტანჯავდა და აღრჩობდა სურვილი გულის ნადების გამოთქმისა, რომ ამ ჟამათ მისთვის სულ ერთი იყო ვისაც კი

მოუყვებოდა თავისს თავგადასავალს. იმას სურდა მხოლოთ გამოლაპარაკებოდა ადამიანს, გულის ჯავრი ამოეყარა, და თუ ბევრ ნაცნობებში ისევ სანდრო ამოირჩია, ეს იმიტომ, რომ სანდრომ იცოდა მისი სიყმაწვილე, მოწმე იყო იმ ნეტარის დროისა, როცა შაქროს სულის სიმშვიდე მაინცა ქონდა, როცა ოცნებით გატაცებული შაქრო უკეთეს მომავალს უხაროდა...

ᲒᲣᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲑᲘᲡ „ᲨᲣᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘᲡ“ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲐᲠᲐ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲓ ᲙᲠᲔᲑᲐ.

კვირას, 12 მაისს, იყო დანიშნული გურიის „შუამავლის“ საგანგებო კრება. ეს კრება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ყოფილმა გამგემ ბ-ნმა სოლომონ ჭეიშვილმა არ ჩაბარა საზოგადოების ფარდულები და დავთრები ახალ გამგეობას, იმ მოსაზრებით, რომ ლანჩხუთში კრების მოხდენა და გამგეობის არჩევა წესდების ძალით არ შეიძლებოდაო. ვინ დანიშნა კრება ლანჩხუთში გარდა იგივე ჭეიშვილისა? მაშასადამე, რა უფლებით ბრძანებს ახლა, როცა თითონ დამარცხდა ამ კრებაზე, ეს კრება უკანონო იყოვო. რომ არ დამარცხებულიყო, მაშინ ხომ კანონიერი იქნებოდა!.. კრებაზე ორჯერ მეტი წევრთა რიცხვი გამოცხადდა, რაც კანონიერი კრებისათვის საჭირო იყო. ეს ამბავი გვიმტკიცებს იმას, თუ რამდენათ სასარგებლოთ არის მიჩნეული მეაბრეშუმე ჩრეწველთაგან ეს სულთმობრძავი და ცოცხალ-მკვდარი ამხანაგობა. ეს კრება გვიმტკიცებს, რომ თუმცა კარგათ იცის ამხანაგობის წევრებმა „ცარიელ ქვევრზე“ იყრიან თავს, მარა ამ „ცარიელ ქვევრს“ და „ადგილსაც“ ვერ იმეტებენ სამუდამოთ დასაკარგავათ...

3 საათზე ბ-ნმა გამგემ ი. ქუთათელაძემ კრება კანონიერათ გამოაცხადა და თხოვა საზოგადოებას თავჯდომარე აარჩიონ. თავჯდომარეთ არჩეულ იქნა ბ-ნი ი. რამიშვილი, რომელმაც კრებას მოკლეთ მოახსენა საგანგებო კრების მოხდენის მიზეზი. კრებამ მოისმინა რა ყოფილის გამგის უკანონო საქციელი, შეუდგა მის მსჯავრის დადებასა და დაადგინა შემდეგი:

1, სამოქალაქო სასამართლოს წესით მოეთხოვოს ყოველივე საქმე და ქონება ამხანაგობისა.

2, ამგვარათვე მოეთხოვოს ის 700 მანეთი, რომელიც ამხანაგობის სურვილის წინააღმდეგ პარიზში დახარჯა.

3, მიცემულ იქნას სისხლის სამართლის წესით სამართალში იმ საბუთებით, რომლებიც საგანგებო კომისიის მიერ არის აღმოჩენილი.

4, გამოირიცხოს წევრობიდან, როგორც ამხანაგობის მანე წევრი, და შემოტანილი საწევრო ფული 20 მანეთი გამოერიცხოს მისგან ასაღებ 700 მანეთში.

5, შეჩერებულ იქნას წარმოება ამხანაგობისა ერთი წლით, რადგანაც პარკის დრო უკვე მოსულია და სახმობი ფარდულების ჩაბარება მანამდის არ მოხერხდებაო...

ამგვარათ დაბოლოვდა ეს ერთათ-ერთი სასარგებლო დაწესებულების არსებობა გურიაში!..

წევრთაგანი.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲐ.

ქუთაისის მაზრაში არსებულ სასოფლო სამინისტრო სკოლების მასწავლებლები 11—12 მაისს სასალხო ინსპექტორის მიერ მოწვეული იყვენ დ. ხონში სამოქალაქო სასწავლებლის დარბაზში სხვა-დასხვა სწავლების შესახებ საქმეების განსახილველათ.

ბ-ნმა ინსპექტორმა, კ. მაკაგარიანმა, რამოდენიმე კითხვა მიცა მასწავლებელთა კრებას, რომლიდან მე მხოლოთ ზოგიერთს დავასახელებ. კ. მაკაგარიანი.—მხატვარი ვ. ბალანჩივაძე შეგვეპირდა, დაგიხატავთ სურათებს ადგილობრივ ბუნებისა და ცხოვრებისათ, სოფლების სასწავლებლებისათვის, მაგ., წყალწალის ოთხ დროსო. მასთან ბალანჩივაძემ ითხოვა სოფლის მასწავლებლებისაგან ამ კეთილ საქმისათვის მასალის მიწოდება. კრებამ ამოირჩია კომისია, რომელსაც დაევალა ბ. ბალანჩივაძესთან ერთათ შეამუშაოს ამ სამხასწავლო მხატვრობისათვის საუოფიერი პროგრამა. შემდეგი კითხვა იყო: „დავაარსოთ საამხანაგო კასა, რომელიც მატერიალურათ შეეწყობა მასწავლებელს შეძლება ექნება მცირე სარგებლით სესხათ წაიღოს გაკვირვების დროს საჭირო თანხა“. კრებამ ერთხმათ სასურველათ დაინახა კასის დაარსება, ხოლო დაწვრილებით არ შეუმუშავებია მოქმედების გეგმა. კრებაზე განსახილველათ იყო წარმოდგენილი აგრეთვე რამდენიმე მასწავლებლის მიერ შედგენილი პროექტი საამხანაგო წიგნის მადაზიის და მასთან ერთათ საუმაწვილო სამკითხველოს დაარსების შესახებ. ეს მუტათ კეთილი და სასარგებლო განზრახვაა.

დაბარაკი იყო იმის შესახებაც, რომ მასწავლებლებს ხშირათ ჯამაგირი დროზე არ ეძლევათ. ხშირათ მასწავლებელი ექვს თვეში მხოლოთ ერთხელ იღებს ჯამაგირს. ეს გარემოება მათ ძალიან გაჭირვებაში აგდებს. კრებამ სურვილი გამოაცხადა, რომ ამ ანორმალურ მოვლენის აცდენათ რაიმე ზომები გამოძებნოს.

დასასრულ კი ბატონმა ინსპექტორმა ამ გვარი კითხვა დასვა: „აგრონომიულ განყოფილების გახსნას სოფლის სასწავლებლებთან მოაქვს თუ არა რაიმე სარგებლობა?“ ამ კითხვის შესახებ ატეადა კამათი. ზოგი ამტკიცებდა: დიდი სარგებლობა მოაქვსო. უმეტესობა კი ამბობდა: აგრონომიული განყოფილების გახსნა სოფლის სასწავლებლებთან სრულიათ უნაყოფოაო; მართლაც უკანასკნელთა აზრი ჭეშმარიტებაა, ამას გამოცდილებაც გვიჩვენებს. აგრონომიულ განყოფილებას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს უმაწვილებისათვის. იმათ სოფელში სპეციალურათ არ შეუძლიათ მეურნეობით ირჩინოთ თავი, თუმც მათი შრომა ტოტა-ოდნათ ნაყოფიერი იქნეს გლეხების შრომასთან შედარებით. ამიტომაც სოფელში კურს-დამთავრებულ უმაწვილების უმეტეს %-ს დღეს ჩვენ ქალაქებში ვხედავთ სხვა-და-სხვა დაწესებულებებში მოსამსახურეთ, იქ ისინი შრომაში იმდენ ფასს იღებენ, რომლის მეათედსაც ვერ მიცემდა უთანხოთ მეურნეობის ხელის მოკიდება და ისიც იმგვარი ტოდნით, როგორითაც აღჭურავს მას სოფლის სასწავლებლის აგრონომიული განყოფილება.

ილია ბახტაძე.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ „ᲙᲝᲚᲮᲘᲓᲘᲡ“ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ.

ეს მეორე წელიწადია, რაც ქუთაისში არსებობს ამხანაგობა „კოლხიდა“, რომელსაც შეეძლებოთ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა ეწოდება. ის იშვა ცნობილ ანჯაფარიძის აწ უკვე განსვენებულ ამხანაგობის ნანგრევებზე. ის დაარსდა ორი წლის წინეთ, მაგრამ მის მოქმედებით არსებობას მხოლოთ ერთი წელი შეუსრულდა დღეს და ისიც წარდგა მშობლების წინაშე თავის ნამოქმედარის მცირე ანგარიშით. ეს მცირე ანგარიში გვიჩვენებს, რომ ამხანაგობა სრულიათ აცდენია თავის უმთავრეს მიზანს. მის წევრთა უმეტესობას, წესდების ძალით, ბირდებირი მწარმოებლები, სოფლის მეურნეები უნდა შეადგენდეს. დღეს კი ამხანაგობის 38 წევრში არც ერთი მწარმოებელი არ არის, სამაგიეროთ თქვენ ხედავთ იქ ისეთ ბირებს, რომლებსაც არავითარი კავშირი არ აქვთ მეურნეობასთან და იმ მიზანთან, რომელსაც ეს ამხანაგობა ემსახურება, არავითარი მისწრაფება არ მოუბოებათ. აქარიან ქუთათური „ინტელიგენტები“, რომლებიც ამხანაგობას ქველმოქმედის თვალით უყურებენ. აქვე შეხვდებით ვაჭრებს, რომლებსაც მეურნე-მწარმოებლების დახმარება სრულიათაც არ აინტერესებს, ერთ მსხვილ ვაჭართაგარს 5 ბაიაც კი შეუძენია—რასაკვირველია, იმ მიზნით, რომ ამხანაგობის მოგებიდან დივიდენდებს მიიღებს. გაგებიეთ მას, რომ ხსენებული ამხანაგობა აქციონერული საზოგადოება კი არ არის—არამედ იურიდიულ ბირში განხორციელებული კომისიონერი, როგორც ზოგიერთი წევრია დარ-

წმუნებული—და მაშინ ნახავთ, როგორ შეხედონ ამხანაგობას არა მწარმოებელ წევრებმა. ამხანაგობას აუარებელი მიზანი აქვს, სხვათა შორის შინაური, ოჯახური ხელოსნობის და მრეწველობის განვითარება, რაც ეწინააღმდეგება ისტორიას და ლოდიკას: შინაურ მრეწველობამ კარგი ხანა დაკარგა ჩვენში თავისი ხასიათი, ის თანდათან ისპობა, ჩვენი ამხანაგობა კი უკან გვიბერებს დაგვბრუნოს: სიჩქარის, ხელის წისქვილების და დგიმ-სავარცხლის სამეფოში ჩაგვდენოს. ასეთი უკან დატრიალების თეორიის ბრინციპი ერთიანთ ეწინააღმდეგება დღევანდელ ჩვენ ეკონომიურ მდგომარეობას, წარმოების უმჯობეს და აუცილებელ ფორმებს. ის ვერ მოუტანს შწარმოებლებს ვერავითარ სარგებლობას. მაგ., რა გამოსადეგია დღეს ოჯახის კაცისთვის აბრეშუმის ბრეის ძაფათ ამოღება, დგიმ-სავარცხლის შეძენა, ძაფის დართვა და დარაიებათ მოქსოვა? ამით ის კონკურენციას ხომ ვერ გაუწევს დღევანდელ ფაბრიკებში დამზადებულ დარაიებს? რასკვირველია, ვერა და რომ ეს ასე არ იყოს, დღესაც ხმი გვეცმოდა ტანზე. ხელმოკლეობის გამო ბირველათ ამხანაგობამ მარტო ბრეის ყიდვა-გაყიდვას მოკიდა ხელი. ეს სიტყვა ყიდვა იმას გვეუბნება, რომ ხსენებულ ამხანაგობას კომისიონერობასთან არავითარი კავშირი არ აქვს და ტუვილათ ნათლავდა კრებაზე მას ამ სახელწოდებით ზოგიერთი ენამწყარი არა მცოდნე. კომისიონერობა ნიშნავს მონდობილების ასრულებას და არა ყიდვას, კომისიონერია ის ბირი, რომელიც ამ მონდობილებას ასრულებს წინდწინ განსაზღვრულ გასამჯელოს დანიშნით მონდობილების მომტანის კომიტეტის მხრით. ის ასრულებს მხოლოთ კომიტეტის მონდობილებას, მის სურვილს. ასეთია იურიდიული აზრი კომისიონერობისა. განა ამგვარი დამოკიდებულებაა დღეს მწარმოებელისა (რომლებიც=კომიტეტს) და ამხანაგობის შორის (რომელიც=კომისიონერს)? არა, ის ყიდულობს ბრეკს, როგორც კერძო ბირი. მსოფლიო ბაზარზე არსებული ფასების მიხედვით ხან მეტს აძლევს მწარმოებელს ხან ნაკლებს; შემდეგ ყიდის და მოგებას თუ როდისმე მოესწრო—ეოფს ორ ნაწილათ, სათადარიგო თანხათ და დივიდენდებათ, ასე რომ ჩვენი ამხანაგობა, თუმცა თავის მიზნით არა, შინა განწყობილებით აქციონერული საზოგადოებას უფრო მაემზგავსება, ვიდრე კომისიონერულს. ასეთი ორგანიზაცია მაშინ არის საჭირგებლო შეურნეებისათვის, როდესაც წევრებათ თვითონ მწარმოებლებია, როდესაც თავის ნაწარმოების გაყიდვით მოგებული ფული მასვე უბრუნდება. მომავალში ამხანაგობა თექრობს მწარმოებელ წევრების შოვნას, მაგრამ საეჭვოა, რომ მან მიზანს მიაღწიოს. ამხანაგობას დარჩენია ერთათ ერთი ასპარეზი ბრეის ყიდვაში, სადაც მას შეუძლია თუ ბევრათ არა, ცოტათ მაინც ასწიოს ადგილობრივ ბაზარზე არსებული ფასები, მაგრამ ვერც ეს მოუტანს ის მწარმოებლებს თავალსაჩინო სარგებლობას. ისეთი კაპიტალით ჩარჩებათან ბრძოლა, რომელიც ამხანაგობას აქვს და მოახერხოს იშოვოს, თითქმის შეუძლებელია, შეუძლებელია წმინდა ფიზიკურათაც, რადგანაც საბრეშუმო რაიონები იმდენათ დაშორებულია ქუთაისზე, რომ აქურ 10 მანეთის ადგილზე 8 მანეთს არჩევს მწარმოებელი და ისევ ჩარჩს მიეადის. მწარმოებელი რომ წევრი იყოს, ბირდაბირ დაინტერესებული ამხანაგობის ბედ-იღბალში, იქნებ მაშინ ჩამოატანოს ქუთაისში ბრეკი ამხანაგობასთან. ამხანაგობის მოქმედების ასპარეზი ჯერ-ჯერობით მარტო ქუთაისით განისაზღვრება. მართალია, ამხანაგობა ფასების აწევის გარდა, წონაში არ მოატყუებს, მაგრამ ვერც ამით იქონიებს გავლენას მწარმოებლებზე ასეთი გავლენა კი აუცილებლათ საჭიროა, რომ ამხანაგობამ მწარმოებელი—წევრები იშოვოს.

ამხანაგობის მცირე ანგარიში არ გვეუბნება, თუ რამდენი ფუთი ნედლი ბრეკი იყიდა მარშან ამხანაგობამ, ნაჩვენებია მხოლოთ დირებულება და ჩანს მხოლოთ გამხმარი ბრეკის წონა. ამხანაგობას ჯერ კიდევ 67 ფუთი გამხმარი ბრეკი აქვს გაუყიდველი, მას კი 88 მ. 11 კ. წმინდა მოგება მიუღია, რომლის 10% საჭირნახულოთ თანხათ გადიდება, დანარჩენი კი განაწილდება წევრებ შორის. ზემოხსენებული მოგება მოსალოდნელი მოგებაა და ადვილი შესაძლებელია ზარალათ იქცეს და არა წმინდა მოგებათ, ვინაიდან თითქმის მოელი ბრეკის ერთი მესამედი ჯერ კიდევ ფარდულში უწევია ამხანაგობას. ანგარიში მიიღო კრებამ, მხოლოთ ზოგიერთი შეცდომები გასწორა, როგორც მაგ. ბრეკის საშრობი, რომელიც ამხანაგობას ორი ათას მანეთზე მეტი დაუჯდა, აქტიეში სრული დირებულებით იყო ნაჩვენები, თუმცა ის კარგი ხანია დაუნგრევია ქარს და ნახევარ ფასათ არ ღირს. ბრეკის საშრობის შესახებ ბ. კ. ლორთიფანიძემ საეკვედური განაცხადა: მსხვილი ბარჯგები რომ ქონოდა საშრობს და მაგრათ ეოფილიყო დასობილი, დარწმუნებული ვარ, ქარი ვერ წაიქცევდა. მართალია, რომ არ მორეოდა ქარი, არ წაიქცევოდა! ამხანაგობის ბასიეში არ იყო შეტანილი ის 500 მ., რომელიც ვალათ ითვლება მის კუთვნილ მიწაზე და რომელიც საურთიერთო ნდობის საზოგადოებას ეკუთვნის. ანგარიშის დამტკიცების შემდეგ გამგეობის თავმჯდომარემ ბ. ს. ჯაფარიძემ თანამდებობაზე უარი განაცხადა, თავმჯდომარის უარს მოეკა დანარჩენი წევრების უარიც. თუ ჯაფარიძე წავა, არც ჩვენ გვინდა მოცდაო. ამხანაგობის საქმეებში ეოველგვარი ბასუხის გება გამგეობას აწვება, დანარჩენი წევრები კრედიტორების წინაშე მხოლოთ თავის საწევრო ფულით, 10 მანეთით, აგებს ბასუხს. ამის შემდეგ ადვილი ასახსნელია, რათ არ იცდიან გამგეობის წევრები, ამას გარდა შრომატ უასუიდოა. სხვები დაამშვიდეს, გაჩერეს, მაგრამ ორი: ჯაფარიძე და ბ. თუმანიშვილი მაინც გამოვიდენ, თუმცა ორი დამე ეხვეწენ. იმათ მაგიერათ აირჩიეს სვანიძე, ი. ქუთათელაძე და დამბაშიძე. დასასრულ კრებას მოაგონდა, რომ ამხანაგობას ერთი კაბეიკი არ მოეძებნება, ბარკი კი კარზეა მოდგარიო. კრება ორათ გაიყო: ბირველი ჯგუფი საჭირო ფულების შოვნას ბაების გაყიდვით აბირებს, რაც ამ ორთაგეში მოუხერხებელია. მეორე ითხოვს, რათა ქ. სურთიერთო ნდობის საზოგადოებამ, ან სახელმწიფო ბანკმა კრედიტი გაუხსნას ამხანაგობას. ზემოხსენებული საზოგადოების წარმომადგენლები ბირდებიან 5000 მანეთამდის კრედიტის გახსნას. დანარჩენი სხვაგან უნდა იშოვონ. ბ. ქუთათელაძე ატხადებს, რომ ამხანაგობას შეუძლია სესხი მიიღოს სამინისტროდან, თუ ჩვენ „შუამავალს“, სენაკის მეაბრეშუმეთა ამხანაგობას და წერეთლის ამხანაგობას შეგუკავშირდებით და საერთო წესდებას შევიმუშავებთო. კრებამ მიიღო ბ. ქუთათელაძის წინადადება. კრება დამის 12 საათზე გათავდა.

Parole.

საყურადღებო პროექტი.

კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებასთან ახლა ხან დაარსდა სასტატისტიკო ბიურო, რომელსაც აზრათ აქვს ტფილისის გუბერნიის სამეურნეო მდგომარეობის გაცნობა, და ამისთვის სტატისტიკური მასალის შეკრება.

ბიუროს გამგემ ბ-ნმა ფ. გოგიჩაიშვილმა უკვე შეადგინა ამისთვის სახელმძღვანელო ბროგრამა. ვბეჭდავთ ამ ბროგრამას მათ საეურადღებოთ, რომელთაც შესტკივათ გული ჩვენი სოფლის მდგომარეობაზე; ამ ბროგრამაით სარგებლობა მათ გაუადვილებს შრომას და მიტემს აგრეთვე სახელმძღვანელო წესრიგს.

1. ეტეობა თუ არა მომატება მცხოვრებთა რიცხვს? დიდია თუ რა ბავშვთა რიცხვი და რამდენათ არის მათში სიკვდილი გახშირებული? რა ბირობებში არიან მცხოვრებნი სახლდოსა, ჭიგეენისა და ან ჯანმრთელობის მხრივ? როგორ მიმდინარეობს შინაური ცხოვრება გლეხისა და რაგორ შეიძლება საზოგადოთ მისი დახასიათება კულტურის მხრით?

2. იმატა თუ არა უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში სამეურნეო წარმოებისთვის ხმარებულ მიწის სივრცემ?

3. როგორაა განაწილებული მიწა მცხოვრებთა შორის იმ რაიონში, რომელსაც ცნობები შეეხება? მსხვილი თუ წვრილი მიწათ მფლობელობა ჭარბობს მად?

4. არის თუ არა დიდი განსხვავება ადგილ-მამულის ქონების მხრით ადგილობრივ გლეხთა შორის?

5. მოიბოვებიან თუ არა ისეთი სახლობანი, რომლითაც არ შეუძლიათ ცხოვრება მარტო იმ მიწით, რომელიც მათ სარგებლობასა ანუ საკუთრებაშია? რამდენათ დიდია რიცხვი ასეთ სახლობათა?

6. არიან თუ არა ისეთნი, რომელნიც სრულიად მოკლებულნი არიან მიწას, ე. ი. არა აქვთ მიწა არც ფლობელობაში, არც საკუთრებაში, აგრეთვე რომლითაც არ აქვთ კაპიტალი და ცხოვრობენ მხოლოთ თავის დღიურ შრომით (პროლეტარები)? რამოდენათ დიდია მათი რიცხვი?

7. ადგილობრივ მუშაობენ ესენი ქირაზე, თუ მიემგზავრებიან მოთხოვნილების და გვარათ სხვა-და-სხვა ადგილებშიაც?

8. როგორი პირობებით და წესით წარმოებს ადგილობრივ მუშების დაქირავება სხვა-და-სხვა სამეურნეო სამუშაოთა შესასრულებლათ?

9. რამდენათ მიდის წინ დროებით-ვადებულ გლეხებისაგან თავიანთ „ნადელების“ გამოსყიდვის საქმე? რა მიზეზია გამოსყიდვის ნელის ნაბიჯით წინსვლისა?

10. როგორი ეკონომიური დამოკიდებულებაა თავად-აზნაურთა და თავ-დაუხსნელ გლეხებს შორის?

11. არის თუ არა საზოგადო მიწათ-მფლობელობა, და თუ ა ა, რამდენათ სასარგებლო იგი სხვა და-სხვა შეძლების გლეხთათვის? როგორ ხშირათ ხდება მიწის გაყოფა და რა საფუძვლით წარმოებს მეჯახეთა შორის მიწების განაწილება? ყველა გლეხთა ოჯახები სარგებლობენ მათის საწილო ადგილებით, თუ ზოგიერთნი გადასცემენ ხოლმე თავიანთ მიწებს სხვებს? რა პირობებით ხდება ეს გარდაცემა?

12. ხშირათ ხდება თუ არა ოჯახების გაყოფა (ადწერეთ)?

13. ხშირათ იყიდიან ხოლმე მიწის მესაკუთრენი მიწებს თუ არა? რა გარემოებები უწყობს ხელს გაყიდვის გახშირებას?

14. რა დიდს ერთი დესიატინა სახნავი მიწა ან ვენახი?

15. უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში მოიმატა თუ არა მიწის ფასმა და რა მიზეზია მიწის გაძვირებისა?

16. ხშირია თუ არა ასეთი მაგალითები, რომ გლეხები პატარა სიერცის მიწებს იძენდენ მსხვილ მემამულეთაგან თავის ადგილმამულის გაფართოვების მიზნით?

17. ხშირია თუ არა ისეთი მაგალითები, რომ შეძლებული მემამულეები მიწის პატარა ნაკვრებს ყიდულობდენ წვრილ მესაკუთრეთაგან იმ განზრახვით რომ თავისი მამული კიდევ უფრო გაიფართოონ და დიდ მამულათაგანადონ? რა გარემოებანი აიძულებენ ხოლმე გამყიდველებს მამულის გაყიდვის?

18. შეუდგენ თუ არა მიწის გაფანტულ ნაკვრების გაერთიანებას (округленіе), იმ მიზნით, რომ აშორებულ იქნეს მამულის დაკუწვა პატრონებ შორის (черезполосность земли) და რა გავლენა იქონია ამან წვრილ გლეხობათა მეურნეობაზე?

19. არსებობს თუ არა მიწის დაკუწვა სხვა და სხვა მეპატრონეებში (черезполосность) და რაში გამოიხატება მისი ეკონომიური უხერხულობანი?

20. არიან თუ არა ისეთი გლეხობათა ოჯახობანი, რომელთაც იმდენი საკუთარი ადგილები აქვთ, რომ, თითონ რომ ვერ ერევიან მათ დამუშავებას, იჯარით აძლევენ სხვებს?

21. უმეტეს ნაწილათ ვინ არიან მოიჯარადრეები?

22. რამდენათ ხშირია მიწების იჯარით გაცემა? სიჯარით მთელი მამულები გაიცემიან ხოლმე თუ ცალკე ნაკვრები?

23. რა გზა ეჭირა მოიჯარადრეთა ეკონომიური მდგომარეობა და პირობანი იჯარისა? მოიმატა თუ არა უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში სიჯარა გადასახადმა?

24. მოიჯარადრეთა შორის არიან თუ არა ისეთი პირნი, რომელნიც წინეთ მესაკუთრენი იყვენ, მაგრამ შემდეგ, დავალიანებისა გამო, თავიანთ წინანდელ კრედიტორების მოიჯარადრეებათ გახდენ?

25. რა გზა იურიდიული, სასამართლო და ეკონომიური დამოკიდებულებაა ხიზანთა და მემამულეთა შორის?

26. რა გავლენა აქვს მსხვილ და დიდ მეურნეობას წვრილ გლეხობისაზე? დიდ მეურნეთ ეავთ თუ არა დაქირავებული მუშები და რამდენი? წვრილ გლეხობა დღიურ ქირაზე მუშაობს თუ არა მსხვილ მეურნეებთან?

27. გავრცელებულია თუ არა მეურნეებში ნადობა, ე. ი. მუშაობის დროს ერთი მეორესთვის დახმარება, და თუ არის, რა მნიშვნელობა აქვს ამ ჩვეულებას მეურნეთა უღარიბეს ნაწილისათვის?

28. უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში შეუტანიათ თუ არა ტეხნიკური გაუმჯობესება სასოფლო მეურნეობაში? რაში გამოიხატება ეს გაუმჯობესებანი? (გაწმენდა, მორწყვა, გაშრობა ჭაობების და მინდვრებისა, ტეის მოშენება, ხეების ამოვსება, ნიადაგის განოყიერება და სხვანი).

29. არის თუ არა განსხვავება მსხვილ და წვრილ მამულთა შორის ტეხნიკური გაუმჯობესების მხრით? დიდს მამულებში მეურნეობა უფრო ინტენსიურათ წარმოებს და ამ მამულებისაგან შედარებით უფრო მეტი წმინდა შემოსავალია, ვიდრე წვრილ მამულებში? რა გზა გავლენა აქვს დიდი მამულების ინტენსიურათ დამუშავებას წვრილ გლეხობის მეურნეობაზე?

30. რა გზა მიეცემა ბებენ ადნიშნულ რაიონში ანებათ მიწებს, ე. ი. რა გზა ცვლა არსებობს (сѣвооборотъ)?

31. მიწების განახოიერებლათ ხმარობენ თუ არა ნეხვს? გარდა ნეხვისა იქნება ხმარობდენ კიდევ სხვა რამ პატივსაც,—რა პატივია ეს?

32. რა გზა იარადებით მუშობენ სავანე მიწებს? რა ხარჯი ეჯესება? არის თუ არა შემოხვევა მეურნეების მიერ სხვაგან სათესლე ხორბლის ყიდვისა? რამდენი საწყო ხორბალი ბურისა, დიკისა, ქერისა, სიმინდისა, შვრიისა, ფეტვისა) ითესება ერთ დესიატინა მიწაზე? არის თუ არა შემოხვევა თესვის დროს მანქანების ხმარებისა? რა გზა თესლს თესვენ, ძველს თუ ახალს, გადარჩეულს თუ გადაურჩეველს? რა გზა ფარცხვენ და რა იარადით იწევენ მოსავალს? ხმარობენ თუ არა მანქანებს? რა გზა წარმოებს ლეწვა? რა გზა აწყობილი სალეწავი იარადი და რა ძალით მოძრაობს? რა გზა ინახვენ სულადს?

33. რამდენ მანათათ შეიძლება დაფასდეს ერთი დესიატინა მიწის დამუშავების ყველა ხარჯები თითეულ გვარ მცენარისათვის ცალკე?

34. დახლოებით რამდენათ დიდია მოსავალი ოთხელ გვარ მცენარისა (მარცვალი, ჩალა და ბზე) თითეულ დესიატინა მიწაზე? ეხლანდელ ფასის მიხედვით რამდენათ შეიძლება დაფასდეს ერთი დესიატინა მიწის მთელი მოსავალი?

35. რამდენათაა გავრცელებული ადნიშნულ რაიონში მეღვინეობა, მებაღეობა მებოსტნეობა, მეფუტკრეობა, მაბრეშუმეობა, ფრინველების და ოთხფეხა მოკალა-მოშენება? ადწერეთ დაწვრილებით ტეხნიკა, ეკონომიური პირობანი და შემოსავლიანობა თითოეულ აქ დასახელებულ წარმოების დარგთა.

36. ბევრია თუ არა ისეთი გლეხი, რომელსაც არა ეავს მუშა საქონელი? ამ შემთხვევაში რა გზა მათი დამოკიდებულება იმ გლეხებთან, რომელთაც ეავთ საქონელი?

37. რა გზა საბალახოს პირობანი პირუტყვთა მოშენებისათვის? თესვენ თუ არა საქონლისათვის საკვებ ბალახს? არის თუ არა საძოვარი ადგილები და ან ვის ეკუთვნის და რა პირობებია მათი სარგებლობისა?

38. ფუჭდება თუ არა საზოგადო მეურნეობის მცენარეულობა მავნებელ ცხოველებისა და მწერებისაგან და რომელთაგან? რა დროს და რა გარემოება უწყობს ხელს ასეთის ავნებას და რა საშუალებებს ხმარობენ მეურნენი ადნიშნულ ცხოველებისა ან მწერების თავიდან მოსაშორებლათ? უმეტესათ რა გზა მცენარეები უფრო ნადგურდება ამ მტერთაგან და რამდენია ხოლმე მათგან მოტეხილი ზარალი?

39. ფუჭდება თუ არა მცენარეულობა ან იხოცება თუ არა შინაური საქონელი სხვა და სხვა ავათმყოფობისაგან? სახელდობრ,

რა ავათოფობა იცის ადგილობრივ და რამდენათაა გავრცელებული? რა საშვალებით ებრძვიან ავათოფობას და ან როგორ ათვრსებენ მის გაძლიერებას? რამდენათ დიდია ავათოფობისაგან მოტემული ზარალი?

40. ხშირია თუ არა სეტევა და რამდენათ დიდია ხოლმე მისგან მოყენებული ზარალი?

41. არის თუ არა ადნიშნულ რაიონში ტეე და ვის საკუთრებას შეადგენს ხეზინისა, საზოგადოებისა თუ კერძო პირებისას და რა პირობებითაა ტეით სარგებლობის საქმე ადგილობრივ მცხოვრებთათვის? როგორი წესი ბრძანება სახზინო თუ კერძო პირთა ტეეების დაცვისა? აშენებენ თუ არა ხელოვნურათ ტეეს? რა ზომებს ღებულობენ ბუნებრივათ ტეეების გასაზდებლათ?

42. რა გარეშე მუშაობას (отхожіе промыслы) ეწევიან მცხოვრებნი და რა ეკონომიური მნიშვნელობა აქვს მათთვის ამ მუშაობას?

43. გლეხთა სახლობანი მისდევენ თუ არა შინა-მრეწველობას? სახელდობრ რა ნაწარმოებებს ამზადებენ? წლის განმავლობაში მწარმოებელი რომელ დროს უფრო აკეთებენ შინა-მრეწველობის სხვა-და სხვა ნაწარმოებებს? როგორი სახლობანი (ტოტა მამულის მეპატრონენი, დარიბნი, შეძლებულნი) უფრო მისდევენ შინა-მრეწველობას? აღწერეთ დაწვრილებით ტექნიკა და ეკონომიური პირობანი შინა-მრეწველობის წარმოებისა და შემოსავლიანობა ამ მრეწველობისა. ფერხდება თუ უფრო წარმატებაში მიდის შინა-მრეწველობა? პირველ შემთხვევაში, რა მიზეზი შეფერხება—დაცემისა?

44. სასოფლო მეურნეობის რომელ ნაწარმოებებს უფრო ეიდიან მწარმოებელნი? სად არის ნაწარმოებთა გასასადებელი ადგილი და რა მანძილზეა ბაზარი იმ რაიონის შუაადგილიდან, რომელსაც ეს ცნობები შეეხება?

45 როგორია გზები მამოსავლისათვის? უკანასკნელს დროს დაიწეეს თუ არა რამე მუშაობა გზების გასუმჯობესებლათ და რამდენათ ნაოფიერი იეო ეს მუშაობა?

46 ვინ არიან მეიდეველნი სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა? საზოგადოთ როგორ ხდება გასადება ნაწარმოებისა? ცდილობენ თუ არა ვაჭრები (სახელდობრ როგორ) ხელოვნურათ ნაწარმოებზე ფასების დაკლებას და რამდენათ ადწევენ მაზანს? წლის რომელ დროს უფრო ნაკლები ფასია სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებებზე? ხმარობენ თუ არა მწარმოებელნი რამე საშუალებას, რომ შესუსტებული იქმნეს მათი მხრით ერთობაშათ წარმომდგბრი გადამეტებული მოწოდება?

47 არსებობენ თუ არა სოფლის მეურნეთა ამხანაგობანი, რომელთაც საგნათ ქონდეთ საამხანაგოთ სხვა-და-სხვა ნაწარმოებთა გასადება, და თუ არსებობენ, რამდენათ ნაოფიერია მათი მოქმედება?

48 რამდენათ ესესხრობენ მცხოვრებთ კრედიტი და როგორ იკმაყოფილებენ იგინი კრედიტის მოთხოვნილებას? წლის განმავლობაში რომელ დროს უფრო ესესხრებათ კრედიტი? ვისგან იღებენ სოფლის მცხოვრებნი ფულს ვადათ,—ითვალთ მეზობლებისა თუ გარეშე კაცთაგან? რა საქმის კაცია კრედიტორი (ვაჭარი, მეფულე თუ მამამულე)?

49 რამდენათ არის დავალიანებული გლეხთა ადგილ-მამული?

50 რამდენათ დავალიანებულია სხვა წოდებათა მამულები?

51 არსებობენ თუ არა შემსახვე-გამსესხებელი კასები ან ბანკები და რამდენათ ნაოფიერათ მოქმედობენ?

52 მოიპოვებიან თუ არა ისეთი პირნი, რომელთაც ფულის სარგებლით გაცემა გაუხდიათ თავის ხელობათ? თუ არსებობენ ასეთი პირნი, ვინ არიან ისინი (წოდება ან ხელობა) და რამდენათ დიდია ხოლმე მათ მიერ აღებული სარგებელი? რამდენია სულ პატარა სარგებელი და რამდენი—სულ დიდი? იხდის ვინმე თუ არა სარგებელს მუშაობით და რამდენათ დიდია ეს მუშაობა? კრედიტის რაოდენობა დამოკიდებულია თუ არა მოვალეს შეძლებისაგან (кредитоспособность)? დროს გასვლის შემდეგ ვადა გასასდება ხოლმე თუ არა ახალ ვადამდე და რამდენათ მატულობს ამ დროს ვადის ჯამი?

53. არის თუ არა ისეთი შემთხვევები, რომ ფულს ასესხებენ ხოლმე მსურველს იმ პირობით, რომ მან ვადა გადაიხადოს მეურნეობის ნაწარმოებით? რა ნაწარმოებს უფრო ხშირათ იგირავებენ გამსესხებელნი? დებულობენ თუ არა გლეხებიფულს ბერისა და ღვინის ვაჭრებისაგან მომავალ მოსავლის წინ და წინ მიტემით? ამ შემთხვევაში რა ფასათ ეძლევათ ვაჭრებს მეურნეობის ნაწარმოები?

54. რამდენათ გავრცელებულია მევახშეობა და რა და რა სახეები აქვს მას მიღებული? რა მიზეზია მევახშეობის გაძლიერებისა? უმთავრესათ ვინ უფრო მევახშეობს? რა საშუალებას ხმარობენ მევახშენი, რომ თავისი მოვალენი მუდმივ ეკონომიურ დამოკიდებულებაში იყოლიან და ან ხელში ჩაიგდონ მათი ქონება? წერენ თუ არა თამასუქებში (გექსელებში) სამდვილ ვალს გადიდებულათ? ახდეინებენ თუ არა მოვალეებს გექსილებში გადიდებულათ აღნიშნულ ვალს?

55. გადადის თუ არა სოფლის მემამულეთა ადგილები მევახშეთა ანუ სხვა კრედიტორების საკუთრებათ და რამდენათაა გავრცელებული ასეთი მოვლენა?

56. რამდენათ დიდია გადასახადები, როგორ აწერენ ხალხს და აგრეთვე რა ხარჯს ეწევიან მცხოვრებნი სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ? რა უხერხულობას გრძნობენ გადამხდელნი გადასახადის გაწერისა ან აკრეფის მხრით?

57. რა და რა ბეგარა აქვს ხალხს დავალებული? ხდება თუ არა გაწვევა ბეგარის შესასრულებლათ ხალხისთვის მოუხერხებელ დროს?

58. რა და რა საშუალებანია საჭირო და სასურველი სასოფლო მეურნეობის წარმოებისა და სოფლის მეურნეთა ეკონომიურ მდგომარეობის გასუმჯობესებლათ?

უბედურება ანტილიის კუნძულზე.

ჯერ ისევ ყურში გვიჟუის შემახელთა უბედურება, ჯერ კიდევ ვერ დაგვიივწყნია ის საშინელი მსხვერპლი, რომელიც შეიწირა იქ ბუნების სტიქიურმა მოვლენამ, რომ ხელ ახლა ააშფოთა მთელი კაცობრიობა ახალმა მსხვერპლმა, ახალმა განადგურებამ, რამდენიმე ქალაქისა, დაბა-სოფლისა მთლათ მცხოვრებლებით, და ყველა მათი კულტურული შენაძენით, რომლისთვისაც იხვწოდნენ უბედურნი რამდენიმე საუკუნე. ისტორიას ჯერ არ ჩაუწერია თვის სისხლით გაბანილ ფურცლებზე ამგვარი საშინელი დრამა. რამდენიმე ათასი სული ადამიანი ერთი წუთის განმავლობაში ღაიმარხა საშინელის ტანჯვით გენიის საფლავში, ცეცხლის წვიმის ქვეშ.

დიახ 1902 წელი დარჩება კაცობრიობის ისტორიაში შავ არშია შემოვლებული, სამგლოვიარო.

გახურებულმა მიწის წიაღმა შეუბრალებლათ მოაგონა ადამიანს თავისი თავი. მაისის პირველ რიცხვებიდან ევროპის თითქმის ყოველ კუთხეში ზოხთა ცოტათ თუ ბევრათ შესამჩნევი მიწის ძვრა. 5-სა და 6-ს (ახ. სტ.) ირყეოდა მიწა საფრანგეთის და ისპანიის სამხრეთ-დასავლეთის მხარეზე. მიწის ცეცხლი ამოვარდა აგრეთვე ვესტ-ინდიაში, შუაგულ ამერიკაში და ხმელთა შუა ზღვის ნაპირებზე. მაგრამ ყველა იქ მომხდარი უბედურებანი არაფერია იმასთან შედარებით რაც მოხდა ანტილიის კუნძულებზე 8 მაისს. (ახ. სტ.) იქ მხოლოთ ერთმა ესრეთ წოდებულმა ქაჩალ-გორის მიწის ცეცხლმა ჩანთქა 30,000 ადამიანი.

აი როგორ აგვიწერს ერთი იქ მყოფი ამ უბედურების დროს: „მონ-პელიე, ამბობს ის, თითქოს შეთრთოლდა, შეკანკალდა, მიწის წიაღიდან მოისმა საშინელი გმინვა და უცებ ყველაფერი გაჩუმდა, გაინაბა. მაგრამ ერთი წუთის შემდეგ ასტყდა საშინელი გრგვინვა, ირყეოდა ყველაფერი, სჭექდა და ქუხდა დედამიწა, თითქოს ამ წუთს მთლათ მოიშალა მსოფლიოს მართველი მეჩანიზმი. მე გავიხედე, ერ ვიცოდი სათ წავსულიყავ. ჭექა-რყევას ზეთ მოჰყვა ღრუბელი, რომელიც ამოვარდა ცეცხლის მთიდან და ისეთის სისწრაფით დაეშვა სენ

პიერისაკენ, რომ მისი გასწორება და თავის შველა ყოვლად შეუძლებელი იყო. კიდევ განმეორდა გენიის ძლიერებით რამდენიმე ქუხილი მიწის წიაღიდან, ცაზე გაიხლაკნა ნამგალივით თვალის დამაბრმავებელი ელვა, ელვას ზედ ყვებოდა ჯოჯოხეთური წყვდიადი და ასე სცვლიდენ ერთმანეთს. მე მივხვდი რომ სენ-პიერი აღარ იყო“.

ეს უბედურება ყველაზე უფრო საჭუხარია საფრანგეთისათვის, მაგრამ მან შეაკრთო აგრეთვე მთელი კაცობრიობაც.

ყველა, ვისაც კი გრძნობა არ დახშობია, ამბობს ცნობილი მკვლევარი რუდოლფ ფალბი, იფიქრებს, რომ ბუნებამ თავისი სტიქიური ძალები მომართა ადამიანის შესამუსრავათო.

პესიმიზმია, სწერს ის წერილში მარტინიკის შესახებ, უკვე დღესასწაულობს გამარჯვებას.

„მაგრამ ნამდვილათ კი საქმე სულ სხვაგვარ არის“.

ფალბი ამბობს, რომ უბედურება მოსალოდნელი იყო და იგი წინეთვე უნდა სცოდნოდათო.

მას მოყავს მაგალითი, რომ, როდესაც მაშინა მუშას სწყვეტავს ხელს, ჩვენ ძრიელ გვებრალება ის, მაგრამ არავის კი აზრათ არ მოუვა, რომ ამგვარი უბედურება მიაწეროს მსოფლიოს ცუდ წესს. ჩვენ უბედურების მიზეზათ ვთვლით უფრო თვით მსხვერპლს. მან ხომ იცოდა რა მოსდევდა მის წინდაუხედაობას, რატომ არ გაფრთხილდა? ეკითხულობთ ჩვენ.

ბუნების მოვლენანი ხდებიან ხოლმე ყოველთვის ერთსა და იმავე წესზე უცვლელათ, საუკუნოთ. ამაშია ადამიანის ბედნიერება, რადგან მას შეუძლიან გაიცნოს ეს წესი და კანონი ბუნების ბრუნვა-მოქმედებისა და მოიქცეს ისე, როგორც ემჯობინება.

ამიტომ აქ პესიმიზმს არა აქვს ადგილი.

თუ რა უბედურება შეუძლიან დაატრიალოს ცეცხლის მფრქვევმა მთამ (Вулканъ) ეს ყველასათვის აშკარაა და თუ მან დამართა ადამიანს უბედურება ამაში დამნაშავეა არა ეს ცეცხლ მფრქვევი მთა, არა ბუნების წესნი, არამედ ის ხალხი, რომელნიც უცოდინრობით ან დაუდევრობით მივიდნენ მასთან ახლო.

რამ აიძულა ადამიანი, რომ გააშენეს ქალაქი სენ-პიერი ზედ საფლავის კარზე? ვინ დაამტკიცა, რომ რომელიმე ცეცხლ მფრქვევი მთა, რომელიც აღარ მოქმედებს სამუდამოთ გაჩერდება? ყველამ იცის, რომ ამისთანა მთები, რომელნიც შემდგარნი არიან ერთ დღეს ხელ ახლა დაიგრგვინებენ. მაგრამ ყოველი თაობა ეცილება წარსულ თაობას დაუდევრობაში. ყოველი მათგანი ან სულ არა ფიქრობს მომავალზე ან არა და ამბობს: „ჩვენ შემდეგ ქვა-ქვაზედაც ნუ ყოფილაო“.

დიახ ისენი ძრიელ ახლო მივდნენ მანქანასთან..

რომ ცეცხლ-მფრქვეველი მთების მილი ყოველთვის შეერთებულია მიწის წიაღის გადნობილ ნივთიერებასთან ეს ყოველ ეჭვ გარეშეა. რა უყოთ, რომ რამდენიმე ხნით იგინი აღარ მოქმედებენ, რაარის თუნდ მთელი საუკუნოები მსოფლიო მაშინის ტრიალში?

რამდენათაც დიდი ხანია იქნება შემჯგარი ცეცხლ-მფრქვევი მთის მოქმედება, იმდენათ მეტი ჩაიფხვნება მის კედლებიდამ მიწის შუაგულში ნივთიერება, იმდენათ მეტათ შეეკვრება მას პირი, მაგრამ, როდესაც ქვესკნელის სიძლიერე კვლავ შემოუბერავს მას, ის იმდენათვე მეტის მედგრობით, მეტის საშინელებით ამოხეთქავს ისევ ზევით. საუკუნოებით შეგროვილი გაზი, მდნარი ნივთიერება, ორთქლი ამოქრის ზევით, დღე იცვლება ღამეთ და ცეცხლ-მოკიდებული ქვები და ნივთი ეცემა ძირს და სწვავს დედამიწას. აი ამისთანა ცეცხლის წვიმის შვენ 23 აგვიტოს 79 წელს ქრისტეს დაბადების შემდეგ დაიღუპა ქალაქი პომპეი და გერკულანუმი. ამ უბედურ დღემდე არავის გახსენებია, რომ ვეზუვი ოდესღაც ცეცხლ-მფრქვევი მთა იყო. ჩვენ ვიცით, რომ ამ უბედურ დღის 16 წლის წინეთ პომპეი დაანგრია მიწის ძვრამ. ამ დანგრევის შემდეგ კვლავ აღადგინეს ეს ქალაქი,

ხალხი კვლავ მიუახლოვდა მანქანას.

ეს მიწის ძვრა უნდა ვიფიქროთ, რომ იყო პირველი ამოხეთქვა ცეცხლის მთისა რამდენიმე საუკუნის შემდეგ, უფრო ადვილათ განმეორდა იგი 16 წლის მერეც, როცა ხელ ახლა მიწის წიაღის ძალამ მიახწია უძლიერეს განვითარებამდე.

ასევე მოხთა კუნძულ მარტინიკზედაც, რომელზედაც ცეცხლის მთა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გაჩერებული იყო. ეს გაჩერება იმდენათ მომატყუებელი იყო, რომ კუნძულზე ვერ გრძნობდენ სუსტ მიწის ძვრას. ამისთანა ცეცხლის მთის სიმშვიდე ყველაზე უფრო საშიშია, ეს შეიძლება შევადაროთ გრიგალის წინეთ წყნარსა და მშვიდ ჰაერს.

კუნძულზე იპოვეს პროკლამაცია გუბერნატორ მუტტესი, რომლითაც უცხადებდა ის ხალხს, რომ არ არის საშიში არაფერი, რადგან მეცნიერული კომისია კარგათ არის ჩახედული საქმის მდგომარეობაშიო. მეორე დღეს ამ კომისიის წევრნი ყველა ერთათ მოიტანა ქვეშ ცეცხლის წვიმამ.

შესანიშნავია, რომ რამდენიმე ხნის წინეთ, ვიდრე ცეცხლი ამოვარდებოდა, გარეული ხეცები გაეცალნენ ამ ადგილს, შინაური პირუტყვები რაღაც მოუსვენრობასა გრძნობდენ.

ისეთი ცეცხლ-მფრქვევი მთები, როგორც, მაგალითათ, ვეზუვიაა, არ არის საშიში, რადგან მას პირი ყოველთვის გახსნილი აქვს, მოქმედობს ცოტ-ცოტათ და აღარა გროვდება წიაღში ძალა, რომელიც ერთბაშათ ამოგლეჯს.

ფალბმა მრავალი გამოკვლევებით დაამტკიცა, რომ ზევიდან ჰაერის სიმძიმის შემსუბუქება იწვევს ქვევიდან შეჯგუფულ გაზების ამოხეთქვას.

ასე, მაგალითათ, როდესაც ის ათვალიერებდა 1874 წელს სოლფაქორის ცეცხლის მფრქვევ მთის ძირს, ნეაპოლის ახლოს შენიშნა, რომ იმ დროს, როდესაც მისმა წინამძღოლმა აანთო ხელში ქაღალდი, მილიდან უცებ ამოვარდა კვამლი ასეთივე კვამლი დასქდათ კედლებსაც. ეს აქნობამდე გამოუკვლეველი მოვლენა ფალბმა ახსნა მით, რომ ანთებული ქაღალდით გაშთბარი ჰაერი წავიდა ზევით იმავე დროს ცივი ჰაერი დაეშვა ძირს და ამნაირათ შემსუბუქდა რა სიმძიმე, გაზებსაც შეუმსუბუქდათ გასასვლელი ადგილი და დაიწყეს დენა ზევით.

თუ ამისთანა მცირე ცვლილებამ ატმოსფერაში, როგორიც გამოიწვია ხელში პაწია ანთებულმა ქაღალდმა, ასეთი შესამჩნევი გავლენა იქონია მიწის ქვეშე გაზებზე, ცხადია აქედან მიწის ძვრა რათ ხდება ხოლმე მთვარის და მზის დაბნელების დროს, როგორც ეს დამტკიცებულია სტატისტიკური ფაქტებით, და რაც შარშან გამოაცხადა იმავე ფალბმა.

უფრო შესანიშნავია ამ შემთხვევაში 1886 წელი, ამ წელს დაბნელება მოხდა ორჯერ.

5 მარტს მოხდა მზის დაბნელება, ექვს მარტს კოსენცაში საშინელი მიწის ძვრა იყო. 29 აგვისტოს დაბნელდა კიდევ მზე, 27—საბერძნეთში მიწის ძვრამ მრავალი მსხვერპლი მოიტანა, ხოლო იმავე თვის 31-ში ჩრდილოეთ ამერიკაში დიდ ზანძიზზე საშინელი მიწის წვრა იყო, კუნძულ ნინაფეონზე ამავე დღეს ამოხეთქა ცეცხლმა იმ მთიდან, რომელიც 30 წლის განმავლობაში ჩაჩუმებული იყო და არა მოქმედობდა. 1902 წლის 22 აპრილის მზის დაბნელებას წინეთ 18 აპრილს საშინელი მიწის-ძვრა მოხდა გვატემალაში.

ამიტომ სახეში მისაღებია ის ფაქტი, რომ კუნძულ მარტინიკის ცეცხლის მფრქვევ მთიდან ცეცხლმა დენა დაიწყო ჯერ ისევ 2 მაისს.

7 მაისს დაბნელდა მზე და რვა მაისს მოყვა ზედ ის უბედურება, რომელიც მე ზევით აგიწერეთ.

საინტერესოა ამ მოვლენათა ახსნა: დაბნელების დროს მზისა და მიწის სივრცე ფართოვდება არამც თუ ღვიის ტალღათა მიმართ, არამედ გზებისა და ორთქლისა და ცეცხლის ღვისაც, რომელიც იმყოფება მიწის წიაღში ამგვარათ დაბნელებას შეუძლია ააჩქაროს მოსალოდნელი ცეცხლის ფრქვევა უფსკრულიდან. სამწუხაროთ ჯერჯერობით მეცნიერებას ზედმიწევნით არა აქვს გამოკვლეული ეს კოსმიური მოვლენანი, მისი კანონები და მათი ურთიერთთან დამოკიდებულება.

ი—ელი.

მომხმარებელი ამხანაგობანი ევროპაში *).

ყველა ამხანაგობებზე უფრო სახელ-განთქმული და მნიშვნელოვანი არის როჩდალის მომხმარებელი ამხანაგობა. ამ ამხანაგობის დაარსების და განვითარების ისტორია ნათლათ გვიჩვენებს, რომ კოოპერაციას დიდი ნაყოფის მოტანა შეუძლია, თუ ამხანაგები საქმეს ხალისით და ენერგიით მოეკიდებიან. როჩდალელთა მაგალითი გვიმტკიცებს, რომ პატარა საშუალებითაც შესაძლებელია დიდი საქმის გაკეთება.

1844 წელს ოცდარვა ფეიქარმა შეადგინეს ამხანაგობა. გადაწყვიტეს, რომ თითოეულ მათგანს კვირაში 20 სანტიმი (8 კაპ.) გადაედო ამხანაგობის წარმოების დასაწყებათ. ასე ოცოც სანტიმობით იმათ შეაგროვეს 700 ფრანკი და ამ ფულით გახსნეს ერთი კოოპერატიული მაღაზია.

ამ ხანებში ინგლისში ბლომათ მოიპოვებოდა კოოპერატიული მაღაზიები, მაგრამ ნამდვილათ კი მათ კოოპერატიული ხასიათი არ ქონდათ. ისინი უფრო საკაციო საზოგადოებათა დაწესებულებებს წარმოადგენდენ. ეს მაღაზიები გაღებული იყო წვრილ მეაქციეთაგან, რომელთაგან თითოს ერთი, ორი ან სამი აქციი ეკუთვნოდა. მეაქციეები, ვითარცა მაღაზიების პატრონები, აწარმოებდენ ვაჭრობას და წლის ბოლოს იყოფდენ ერთმანეთში მოგებას. მომხმარებლებს ამ მოგებიდან არაფერი ეძლეოდათ.

როჩდალის კოოპერაციის დამაარსებლებმა, წინააღმდეგ წესათ შემოიღეს, რომ აქციის პატრონებისთვის მათ მიერ შეტანილ ფულში მხოლოთ 5% სარგებელი მიეცათ და დანარჩენი მოგება მომხმარებლებს შორის გაენაწილებიათ, იმის და მიხედვით, თუ ვის რამდენის საქონელი ექნებოდა ნაყიდი კოოპერატიულ მაღაზიაში. ეს წესი შემდეგ როჩდალელთაგან სხვა ამხანაგობებმაც გადიღეს და დღეს იგი ყველა ქვეყნების მომხმარებელ ამხანაგობებში არის მიღებული. ასეთი წესის დადგენით დამაარსებელთ სურდათ თითოეულ მომხმარებლის დაინტერესება კოოპერატიულ მაღაზიის განვითარებაში, კოოპერაციის იდეისთვის სიმპატიის და თანაგრძნობის მოპოვება ხალხში და ამით ამხანაგობათა გავრცელება მთელ ინგლისში, და, მართლაც, ამ ზომამ ის შედეგი იქონია, რომ ორი წლის განმავლობაში სხვა-და-სხვა ადგილას 200 ახალი ამხანაგობა დაარსდა.

როჩდალის დუქანმა საესებით გაამართლა დამაარსებელთა იმედები. როგორც ვთქვით, 1844 წელს ამხანაგობას 28 წევრი ყავდა და მოგება სრულებით არ ქონია. 1850 წელს წევრების რიცხვი 600-ზე ავიდა და მოგება 22000 ფრანკი იყო. 1860 წელს ამხანაგობას 3450 წევრი ყავდა და 400,000 ფრანკი მოგება დარჩა. 1870 წ. იყო 5560 წევრი და 600,000 ფრანკი მოგება, 1880 წ. 10,600 წევრი და 1.200000 ფრანკი მოგება; 1891 წელს კი წევრთა რიცხვი გახდა 11,647 და 1.305,000 ფრანკი წმიდა მოგება.

*) Le Coopératisme par A.—D. Bancel, Paris 1901,

მართალია, კოოპერატიულმა მოძრაობამ ყველგან ასეთი ჩინებული შედეგი ვერ მოიტანა, მაგრამ არის მაინც მრავალი მაგალითები, საცა ნაყოფმა როჩდალისას კიდეც გადაჭარბა.

მთელ დედა-მიწის ზურგზე უუდიდეს ამხანაგობებათ, წევრთა სიმრავლის მხრით, უნდა ჩაითვალოს ერთი ბრესლავის ამხანაგობა (გერმანიაში) და მეორეც ლიდსისა (ინგლისში). თითოეულ მათგანს მიახლოვებით 50000 წევრი ყავს. თუ ყოველ წევრს ოჯახის მამათ ჩავთვლით და თითო ოჯახზე საშუალო რიცხვით 5 სულს ვიანგარიშებთ, გამოვა, რომ თითოეულ აქ ნახსენებ ამხანაგობაში 250000 მომხმარებელი არის შეერთებული.

ბრესლავის ამხანაგობა დაარსდა 1865 წელს. თავდაპირველათ მას ძალიან ცოტა წევრები ყავდა, მაგრამ შემდეგში მათმა რიცხვმა თან და თან იმატა და 1899 წელს 64000-ს გადაჭარბა. ამ წელში ამხანაგობას გაუყიდია 13.720450 ფრანკის საქონელი და მოგება 1.489282 ფრანკი ქონია. დღეს მას აქვს 54 სავაჭრო მაღაზია, საცა ყიდიან სხვა-და-სხვა საკვებ მასალებს, პურს, ღვინოს, კოლონიების ნაწარმოებებს, სიგარებს და ნახშირს. ბრესლავის ამხანაგობის წარმოების ჯამი კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, რომ ამხანაგობა ფეხსაცმლის, ტანისამოსის და სხვა ამგვარების ყიდვა-გაყიდვას მისდევდეს.

ლიდს-ს დიდ ამხანაგობასაც, რომელსაც Industrial Society (სამრეწველო საზოგადოება) ეწოდება სახელათ, დასაწყისი მეტათ შავი და უიმედო ქონდა. მაგრამ აქაც მერმინდელმა განვითარებამ უიმედობა იმედათ შეცვალა, ამხანაგობა გაიზარდა და გადიდდა. 1890 წლის დამლეგს მას ყავდა 26846 წევრი; წლის განმავლობაში მას გაეყიდა 17 მილიონის საქონელი და 2 მილიონზე მეტი მოგება დარჩენოდა. იმავე წელს ამხანაგობას ქონდა გაღებული 65 მაღაზია წვრილმან საქონლისთვის (საწვრილმანო), 15 ფართლეულობისთვის, 7 ფეხსაცმლისთვის, 9 ნახშირისთვის და 28 ხორცის დუქანი. მასვე ქონდა საკუთარი საყასბო (საცა საშუალო რიცხვით წელიწადში კლავდა 2300 ხარს, 400 ხბოს, 5000 ცხვარს, 900 ღორს) და ერთი საფქვავის წისქვილი, რომელიც წლიურათ 38000 ტომარა ფქვილს იძლეოდა. 1897 წელს ლიდსის ამხანაგობამ თვისი არსებობის 25 წლის იუბილეი იდღესასწაულა. ამ წელს წევრთა რიცხვი იყო 37000, წარმოების ციფრი 25 მილიონი, ხოლო მოგება 4 მილიონამდი. დღეს კი ამხანაგობაში 44453 წევრი ითვლება; მისი წარმოების ჯამი აღემატება 28 მილიონს და მოგება 4 მილიონს. ამხანაგობის სამრეწველო დაწესებულებათაც მუდმივი წინმსვლელობა ეტყობა.

იტალიაში ცნობილია რომის ამხანაგობა, რომელსაც Unione militare cooperativa ეწოდება. ეს არის ერთ და იმავე დროს ამხანაგობა მოხმარებისა და კრედიტისაც. იგი აძლევს თავის წევრებს ყველაფერს, რაც კი საჭიროა ყოველ დღიურ ცხოვრებისათვის: ხორაგეულობას, ღვინოს, ავეჯეულობას და სხვ. მრავალი გამგეობა და საწყობები ამ ამხანაგობისა არის რომში. აქ მას აქვს გაღებული სამი მაღაზია და ერთი ღვინის დიდი სარდაფი. გარდა რომისა მას აქვს იტალიის სხვა და სხვა დიდ ქალაქებში 9 განყოფილება. როგორც ყველა მომხმარებელ ამხანაგობებმა, Unione militare-მაც ძალიან პატარა საშვალებით დაიწყო საქმე, რომელიც შემდეგ თან და თან გადიდდა და გაძლიერდა. 1894 წელს მას ყავდა 14600 წევრი, დღეს კი მათი რიცხვი 15000-ს აღემატება, 1894 წელს ამხანაგობის საღებ-მიცემო წარმოება 4 მილიონზე არ ასულა, ახლა კი იგი 6 მილიონზე მეტია.

არის კიდევ იტალიაში ერთი ამხანაგობა, რომელიც ბევრი მხრით ძალიან მნიშვნელოვანია. ესაა მილანის Unione cooperativa. იგი დაარსდა 1886 წელს 1712 ფრანკით 174 სხვა და სხვა მოხელეთაგან, რომლებმაც როჩდალელთა წესდება

მიიღეს თავისთვის სახელმძღვანელოთ. თავ და პირველათ Unione cooperativa მოათავსეს ერთ პატარა ნაქირავებ ოთახში, საცა თვითონ ამხ ნაგობის გამგეები ყიდდენ საქონელს. მას შემდეგ საქმე თან და თან წარმატებაში შევიდა, ასე რომ დღეს ამხანაგობა მოთავსებულია მილანის ერთ უუდიდეს და უკეთშენიერეს შენობაში, რომელსაც Palazzo Tlori ქვია. პირველათ Unione cooperativa მხოლოთ ხელოვანებს და ყელ-სახვევებს ყიდდა, რადგან უნდოდა, რომ ხარჯები ძალიან ცოტა ქონებოდა. ახლა კი ამხანაგობას აქვს ერთი უშველებელი ქარვასლა, საცა კაცი იშოვის ყველაფერს, რის შოვნაც შესაძლებელია ისეთ დიდ მაღაზიებში, როგორიც არის პარიჟის Louvre-ი ან Bon Marché. გარდა ამისა მილანის ამხანაგობას აქვს ერთი უზარმაზარი სარდაფი, საცა თვითონ ამზადებს წლიურათ 8000 ჰექტოლიტრ ღვინოს. ყურძენს ყიდულობენ პიემონტის საუკეთესო ადგილებში. ამხანაგობის ღვინო იყიდება ბოთლებში, რომლებსაც Unione cooperativa-ს მარკა აკრავს. ამხანაგობას ყავს 300-ზე მეტი მოსამსახურე. 1894 წელს წევრთა რიცხვი იყო 3938, ხოლო საერთო საღებმიცემო წარმოების ჯამი 3 მილიონი. ამ ჟამათ წევრების რიცხვი 5000-ს აჭარბებს და წარმოება 5 მილიონზე მეტია. ამ სახით გამოდის, რომ თითოეული წევრი საშუალო რიცხვით 1000 ფრანკის საქონელს ყიდულობს წლიურათ ამხანაგობისაგან.

შედარებით ყველა ქვეყნებზე მეტი მომხმარებელი ამხანაგობანი შვეიცარიაში არსებობენ. მათში უფრო შესანიშნავია ბაზელის და ჟენევის ამხანაგობა. ამ უკანასკნელის შეუჩერებელი წინსვლა და განვითარება შემდეგი ციფრებით გამოიხატება:

წლები	წევრთა რიცხვი.	გაყიდული საქონელი. ფრანკი.	მოგება. ფრანკი.
1869	430	41,781	3661
1889	2,382	765,103	111,011
1894	3228	1.030,101	149,529
1887	4280	1.428,967	211,186

შვეიცარიას შემდეგ მეორე ადგილი მომხმარებელ ამხანაგობათა სიმრავლით ბელგიას ეკუთვნის. ამ ქვეყანაში მთავარი ამხანაგობები უმეტეს ნაწილათ ორ საშრეწველო ქალაქშია დაარსებული: გენტში და ბრიუსელში.

1863 წელს რამდენიმე ფეიქარმა გადაწყვიტა, გენტში მომხმარებელი ამხანაგობა დაეარსებინა, თითოეულმა მათგანმა ვალათ იდო, კვირეში 50 სანტიმი შეეტანა ამხანაგობის დასაარსებლათ. ამნაირათ აგროვეს ათი კვირის განმავლობაში და 30 ამხანაგთაგან შეიკრიბა 150 ფრანკი. აი, ამ კაპიტალით დაარსეს მათ ამხანაგობა, რომელსაც სახელათ Vrige Bakkers (თავისუფალი მეპურეები) დაარქვეს. პირველ ნახევარ წლის განმავლობაში ამხანაგებს მოგება არ ქონებიათ, მაგრამ წლის მეორე ნახევარში-კი მათ თითო პურზე 6 სანტიმი ხეირი ნახეს. ამხანაგობის საქმე კარგათ და წარმატებით მიდიოდა...

ამხანაგობას ეპირვებოდა დაკლებულ ფულის შეესება. ამ გაჭირვებულ მდგომარეობაში მას დახმარება გაუწია გენტის ფეიქართა სინდიკატმა. სინდიკატმა ასესხა 2000 ფრანკი და ამით საქმეც გაჩარხა. ამხანაგობა, რომელსაც ამას შემდეგ სახელათ Vooruit დაერქვა, დადგა მკვიდრ ნიადაგზე. ამ დროიდან მოყოლებული მას ამოძრავებს წევრებისთვის ეკონომიურ სარგებლობის მოტანა.

(შემდეგი იქნება)

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთელი.

განცხადებანი.

თფილისის კერძო სამკურნალო

მ. გედევანიშვილისა

(კუკია, ნიკოლოზის ქ., სახლი სვგინაშვილისა, № 21).

ტელეფონი № 274.

ავათმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა:

დ ი დ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი — ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ., გარდა ხუთშაბ. და შაბათისა.

ე. გ. ფედოროვი — შინაგანი და ბავშვებისა, 9—10.

ბ. გ. მადლაშვილი — შინაგ. სამშ. და ხუთშ. 10—11.

ვ. დ. დამბაშიძე — შინაგ. 10—11, სამშაბათს და ხუთშ. 1—2.

ნ. ა. მუდინი — ყურის, ყელისა და ცხვირისა, 11—12.

ი. ბ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი, 10—12.

კ. მ. ედიაზიშვილი — შინაგ. და ბავშ. 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და შინაგ. 12—1.

ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით ოთხშაბათ. და პარასკეობით, 12—1.

ს. ა. ვოინო — ქირურგიული, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბ. 1—2.

გ. მ. ამბარდასოვი — სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი, 5—6.

ა. გ. მადლაშვილი — შინაგანი და ბავშვებისა. 5—6.

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:

გ. გ. მადლაშვილი — შინაგან ავათმყოფ., 10—12.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები და კრაოტები მოგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა. (წლ.).

საპოლიტიკო, სამეცნიერო და საალიტერატურო

ნახატებიანი გაზეთი

„ᲙᲕᲐᲚᲘ“

(წელიწადი მეოთე)

გამოვა **1902** წელსაც ყოველ კვირა დღეს, ერთიდან სამ თაბახამდე

მომატებული ფორმატით.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა სურათები (ევროპის, რუსეთის და ჩვენის) მათი ბიოგრაფიებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქართველ მოღვაწეებს

გაზეთი წლიურათ ღირს თფილისში 7 მან., თფილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამი შაური. ადრესის გამოცვლა თფილისს გარეთ ღირს ორი აბაზი.

Дозволено цензурою Тифлисъ 13 мая 1902 г. სტამბა კ. ი. მარტიროსიანისა, დიდი ვანქის ქ. № 1—2.